ლელო

№003
(12 380)

7 იანვარი ორშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# გილოცავთ ქრისტეშობას!



# კახა ცხადაძე ბაქოს სტანდარდს გაწვრთნის



2

## გოგიტა გოგუა ისევ ნალჩიკში?

გოგიტა გოგუა რამენსკოეს „სატურნიდან“ წავიდა და მალე ახალ კლუბში ჩაირიცხება. დაუჯერებელი დასაჯერებელი გახდა - „სატურნს“ ძალიან კი სურდა, მაგრამ რატომღაც, ქართველის ფული მის ძველ მეპატრონე ანდრეი ჩერვიჩენკოს არ გადუხადა და ნაბან წყალს ქართველი გადააყოლეს.

გოგიტა რუსეთში წასვლას ელოდება და მალე შევიტყობთ, სად გააგრძელებს კარიერას, თუმცა გარკვეული მინიშნება „ლელოსთან“ უკვე გააკეთა.

ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან 3

## ზვიადაური იქნება, ცირეკიძეც

ძიუდო.
26-27 იანვარი.
თბილისის
მსოფლიო თასი
13



ზურაბ ზვიადაური ნაკრებში დასაბრუნებლად იბრძოლებს



## ფოლკერ ფინკე ბაიერნის მწვრთნელად? 9

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

დანიშვნა

## ცხადაძე სტანდარდის მწვრთნელია

ბაქოს „სტანდარდის“ მთავარ მწვრთნელად **კახა ცხადაძე** დაინიშნა. მან ამ კლუბთან ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ 40 წლის ქართველი სპეციალისტი „სტანდარდში“ სეზონის ბოლომდე იმუშავებს, შემდეგ კი თუ კარგ შედეგებს აჩვენებს, ალბათ, ხელშეკრულებას გაუგრძელებენ. ცხადაძის ასისტენტი სავარაუდოდ, **ბადრი კვარაცხელია** იქნება. ეს დუეტი „სიონშიც“ ერთად მოღვაწეობდა. ჩვენი ინფორმაციით, „სტანდარდში“ ქართველი ფეხბურთელების გადასვლა დაგეგმილი არაა.

ცნობისათვის, ცხადაძემ ამ პოსტზე **იუნის ჰუსეინოვ'ი** შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობითაც „სტანდარდი“ არცთუ წარმატებით ასპარეზობდა. გუნდი უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს ატარებს და იქ დასარჩენად იბრძვის. სამომავლოდ კი „სტანდარდის“ შეფებს შორსმიმავალი მიზნები აქვთ. კლუბი საკმაოდ შეძლებულია და უახლოეს პერიოდში ძლიერი ლეგიონერების გადაბირება იგეგმება. მოკლედ, ცხადაძეს წინ საკმაოდ საინტერესო სამუშაო პროცესი ელის.

აზერბაიჯანში სეზონი 17 თებერვალს განახლდება, 5 და 19 მარტს კი ცხადაძეს თასის მეოთხედფინალური შეხვედრები ელის. „სტანდარდის“ მეტოქე ბაქოს „ნეფთჩი“ იქნება, საიდანაც ჩეხი **ვლასტიმილ პეტრჟელა** დაითხოვეს და მის ნაცვლად უკრაინელი **ანატოლი დემიანენკო** დანიშნეს. სეზონის მეორე ნახევრისთვის „სტანდარდი“ ანთალიაში მოემზადება.

აზერბაიჯანული პრესა ცხადაძის მიღწევებზე წერს. შეგახსენებთ, მან 2005 წელს თბილისის „დინამო“ გახადა საქართველოს ჩემპიონი, მომდევნო წელს კი ოქროს მედლები ბოლნისის „სიონთან“ ერთად მოიპოვა. ამასთან ერთად, ჩვენი მეზობლები არც ცხადაძის მეტისმეტ ემოციურობას ივიწყებენ, რის გამოც ეს უკანასკნელი მკაცრად დასჯილა.

ცხადაძეს ბაქოში წასვლამდე დაახლოებით ნახევარწლიანი პაუზა ჰქონდა. მისი ბოლო კლუბი „სიონი“ იყო, რომელიც გასული სეზონის ბოლოს დატოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა ცხადაძე

## ბათუმი და არჩევნები

„ბათუმის“ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ გაირკვევა. ჯერჯერობით კი გუნდი არ შეკრებილა. სავარაუდოდ, „ბათუმი“ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის სამზადისს 10 იანვრისთვის უნდა შეუდგეს და კლუბის დაფინანსების საკითხიც დაახლოებით ამ დროისთვის გადაწყდება.

*„იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და მეორე წრეში ძლიერი გუნდი გვეყოლება. ვნახოთ, გვპირდებიან, რომ ფინანსურად არ გაგვიჭირდება. უახლოეს დღეებში პოტენციურ ინვესტორებს შევხვდებით“*, - გვითხრა „ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ კუნჭულიამ**.

მასთან საუბარში ისიც შევიტყვეთ, რომ გუნდიდან მხოლოდ მეკარე **შოთა მამინაშვილი** წავიდა, რომელიც რუსეთში გაემგზავრა. სხვა ფეხბურთელები კი სადღეისოდ, „ბათუმის“ შემადგენლობაში რჩებიან. მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლუბის ახალი ბიუჯეტი მწვრთნელებს ძლიერი ფეხბურთელების დამატების საშუალებას მისცემს.

გადასაწყვეტია შეკრების საკითხიც. ფაქტია, რომ თუ მეორე წრისთვის „ბათუმი“ საგრძნობლად არ გაძლიერდა, ბოლოადგილოსან გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენის იოტისოდენა შანსიც არ ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ავთანდილ კუნჭულია

## მერანში ხვალ კრებაა

ხვალინდელი კრება ძალიან ბევრს საკითხს მოჰფენს ნათელს. „მერანის“ ხელმძღვანელობისა და სამწვრთნელო შტაბის საუბრის შემდეგ გაირკვევა, როგორი სახით წარსდგება გუნდი მაყურებელთა წინაშე მეორე წრეში. შესაბამისად, „მერანიდან“ წასული ფეხბურთელებისა და ახალწვეულების ვინაობაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი. სავარაუდოდ, ცვლილებები მწვრთნელებს არ შეეხება, „მერანს“ კვლავ **დავით ეჯიბიშვილმა** უნდა უხელმძღვანელოს. შეგახსენებთ, ეჯიბიშვილი მთავარი მწვრთნელი ადრეც იყო, ეს სეზონი **თამაზ კოსტავას** ასისტენტად დაიწყო, მისი ავადმყოფობის გამო კი კვლავ ამ თანამდებობაზე დააბრუნეს. კოსტავას ჯანმრთელობის მდგომარეობა სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელების საშუალებას არ აძლევს, მან „მერანთან“ კონტრაქტი გაწყვიტა.

დედაქალაქური გუნდი ვარჯიშს 9 ან 10 იანვარს შეუდგება, მზადების პირველ ეტაპს „მერანი“ თბილისში გაივლის, შემდეგ კი გამორიცხული არაა, უცხოური შეკრებაც მოაწყოს. საუბარია საბერძნეთში გამგზავრებაზე.

ჩემპიონატის პირველი წრე „მერანმა“ 10 ქულით მე-11 ადგილზე დაასრულა. სეზონის ბოლოს ამ პოზიციაზე გასული გუნდი პირველლიგელთან გამართავს საუმაღლესლიგო ფლეი ოფს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

### დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.**



კობა ჟორჟიკაშვილი

## სპარტაკი ანთალიაზე ოცნებობს

ცხინვალის „სპარტაკმა“, რომელმაც პირველი წრე მე-10 ადგილით ჩაამთავრა, მეორე წრისთვის მზადება ადრიანად დაიწყო - 20 დეკემბერს შეიკრიბა და ცხრა დღე ივარჯიშა „მიხეილ მესხის“ სათადარიგო მოედანზე. ამის შემდეგ გუნდი ისევ შვებულებაში წავიდა და ვარჯიშს ზეგიდან განაახლებს.

ჯერჯერობით უცნობია, „სპარტაკში“ წამსვლელ-მიმსვლელთა ვინაობა. პირველ წრეში ცხინვალელებს სამი ფეხბურთელი ჰყავდათ ნათხოვარი „ზესტაფონისგან“ - **დავით ჯანელიძე, ირაკლი ძარია** და **ზურაბ ბახტურიძე** და შესაძლოა, ისინი „ზესტაფონს“ დაუბრუნდნენ.

სპარტაკელთა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** გვითხრა, არის იმის სურვილი და შანსი, თვის ბოლოს მზადება ანთალიაში გავაგრძელოთო.

უმაღლეს ლიგაში პოლიტიკურ-პატრიოტული პრინციპით აღზევებულ ცხინვალის „სპარტაკს“ საიმისო სახსარი არ გააჩნია, გამოცდილი ფეხბურთელები დაიმატოს, ანთალიურ შეკრებას კი შესაძლოა, შესწვდეს.

**დავით თავართქილაძე**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



პავლე დათუნაიშვილი

ინტერვიუ პაატა დათუნაიშვილთან

# ჩემ ძმას უკეთესი შანსი აქვს

თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ უკვე წავიდა ერთი წამყვანი ფეხბურთელი - 22 წლის ცენტრფორვარდი ნიკა გელაშვილი. გუნდიდან კიდევ ორი საკვანძო მოთამაშე აპირებს წასვლას - ცენტრალური მცველი ლექსო კვახაძე და პაატა დათუნაიშვილი, ვისაც მცველადაც შეუძლია თამაში და ნახევარმცველადაც.

დათუნაიშვილს მოსალოდნელი ტრანსფერის გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ.

**- შენს შესაძლო ტრანსფერზე რაიმე ახალი ხომ არ არის?**

- ჯერ არაფერი, ისევ „ვიტ ჯორჯიაში“ ვვარჯიშობ.

**- „ვიტ ჯორჯია“ კი დარჩენას გთავაზობს...**

- სეზონის ბოლომდე მთავაზობენ დარჩენას. გადაწყვეტილება კი ჯერ არ მიმიღია.

**- „ვიტ ჯორჯია“ ახლა მესამე ადგილზეა და პირველზე რომ იყოს, ალბათ სეზონის ბოლომდე დარჩებოდი...**

- მაინც წასვლას ვამჯობინებდი - უკვე კარგა ხანია, რაც უცხოეთში მინდა გადასვლა. ახლა თავისუფალი აგენტი ვარ და უცხოური კლუბისთვის უფრო მიმზიდველია ასეთი ფეხბურთელის აყვანა. საქარველოდან წასვლა ჩემთვის აუცილებელია.

**- ასეთ დროს რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის - პირობები თუ პერსპექტივა?**

- 24 წლის ვარ და პირველ რიგში წასვლა იმიტომ მინდა, რომ თამაშს მოვუმატო. ფინანსური მხარე უფრო მნიშვნელოვანი რომ იყოს, აზერბაიჯანში ან ყაზახეთში წავიდოდი - უფრო ადვილადაც გამოვძებნიდი გუნდს და უკეთესი პირობებიც მექნებოდა.

**- თურქეთში გადასასვლელად ვინ გეხმარება?**

- რევაზ ჩელებაძე და „ვიტ ჯორჯიაც“ ცდილობს, თუ წავალ, კარგ გუნდში მოვხვდე.

**- 2004 წელს „ვიტ ჯორჯიაში“ საქართველოს ჩემპიონი გახდი. როგორ ფიქრობ, მაშინდელ და ახლანდელ „ვიტ ჯორჯიას“ შორის დიდი სხვაობაა?**

- ფეხბურთელთა კონტინგენტის მხრივ შედარებაც არ შეიძლება - ისეთი ძლიერი გუნდი „ვიტ ჯორჯიას“ არასდროს ჰყოლია, ჩვენ მაშინ სათადარიგოთა სკამიც ძალიან ძლიერი გვყავდა და საქართველოს ჩემპიონატიც მაშინ უფრო მაღალი დონის იყო - ჩვენს გარდა ჩემპიონობისთვის კიდევ სამი გუნდი იბრძოდა - „დინამო“, „სიონი“ და „ლოკომოტივი“. ახლანდელი „ვიტ ჯორჯია“ კი ერთსულოვნებით და გუნდურობით გამოირჩევა, გუნდში ახალგაზრდული სული ტრიალებს - ყველა ამ ფაქტორის გამოა, პირველი წრე მესამე ადგილით რომ ჩავამთავრეთ.

**- „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა შენმა უმცროსმა ძმამ გიორგიმ. მას ეს შენც ურჩიე?**

- მან „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი კი გააგრძელა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომდევნო ორი წელიწადი აუცილებლად საქართველოში ითამაშებს. უბრალოდ, ამ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიაში“ ყოფნა ჩათვალა საჭიროდ. ის ჩემზე ორი წლით უმცროსია და ისედაც, წინსვლის ჩემზე უფრო მეტი შანსი აქვს.

**- როგორ ფიქრობ, „ვიტ ჯორჯია“ ამ ჩემპიონატში მესამე ადგილს თუ შეინარჩუნებს, ეს მაქსიმუმი იქნება?**

- თუ გელაშვილის გარდა გუნდიდან მეც და კვახაძეც წავალთ, მესამე ადგილი ურიგო არ იქნება. თუმცა ვინ იცის, რა მოხდება. 2003-04 სეზონი რომ იწყებოდა, ჩემპიონობაზე არც კი ვფიქრობდით, მაგრამ ჩემპიონები გავხდით.

**- დაბოლოს, როდემდე უნდა ელოდო რომელიმე თურქულ გუნდში გადასვლის ვარიანტს?**

- მაქსიმუმ ერთ კვირაში ყველაფერი გაირკვევა.

დავით თავართქილაძე

# გოგიტა გოგუა ისევ ნალჩიკში?

## მდიდარ კლუბს ის მირჩევნია, სადაც ლიდერი ვიქნები

პირველი გვერდიდან

**- გოგიტა, წამოხვედი და ეს უკვე ცნობილია. სად გააგრძელებ კარიერას?**

- არაფერი არ ვიცი გარდა იმისა, რომ მალე მოსკოვში მივდივარ და იქ ყველაფერს გავარკვევ.

**- მოსკოვში როდის მიდიხარ?**

- როცა მოვახერხებ. სავიზო საკითხები მალე მოგვარდება და წავალ.

**- კიდევ სავიზო პრობლემები შეგექმნა?**

- არა, ნამდვილად არაა პრობლემა.

**- კაცმა რომ თქვას, ასეთ ფორმალობებსაც თავიდან აიცილებდი, რუსეთის მოქალაქეობაზე უარი რომ არ გეთქვა. სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ასეთი ნაბიჯი.**

- კი, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ქართველი ვარ და რატომ უნდა გავხდე სხვა ქვეყნის მოქალაქე, არ მესმის. ორმაგი მოქალაქეობა სხვა საქმეა, მაგრამ ეს აკრძალულია და მეც ამ შეთავაზებაზე ბევრი არ მიფიქრია. მარტო პრაგმატული მოსაზრებით მსგავსი ნაბიჯის გადაგმა ჩემთვის მიუღებელია.

**- ჩვენ გვითხრეს, რომ შენი აყვანა „ზენიტს“ სურდა. ეს მოლაპარაკება შეწყდა?**

- არ ვიცი, პეტერბურგელები მართლა მიწვევენ თუ არა.

**- ეს ჩვენ პირველწყაროსგან შევიტყვეთ.**

- ვერაფერს გეტყვით, პირადად მე დღემდე მათი წარმომადგენელი არ დამლაპარაკებია.

**- უგუნდოდ დარჩენილი თუ ვარჯიშობდი?**

- ახალ წლებზე სად ვივარჯიშებდი, მერე კი მომზადება დავიწყე. რუსული კლუბები ოთხ შეკრებას ატარებენ და ფორმის აღდგენა იოლია.

**- ჩვენი მთავარი კითხვაც ესაა - სად აპირებ გადასვლას?**

- ჯერ განთავისუფლების ფურცელს ავიღებ და ყველაფერი მერე გადაწყდება. საერთოდ, მირჩევნია გადავიდე იქ, სადაც დამაფასებენ და ნდობას გამომიცხადებენ. არაა გამორიცხული, ეს არ იყოს ყველაზე მდიდარი და ძლიერი კლუბი, მაგრამ მე მინდა ვითამაშო იქ, სადაც ლიდერი ვიქნები.

**- რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ შესაძლოა, ისევ „ხიმკიში“ ან ნალჩიკის „სპარტაკში“ დაბრუნდე. შენი საუბრიდან გამომდინარე, ხომ არ ვიფიქროთ, რომ „სპარტაკში“ დაბრუნებაზე ფიქრობ?**

- ნალჩიკში თამაშს არ გამოვრიცხავ. თუმცა არ მინდა ახალი კლუბის დასახელება ვიჩქარო.

- რუსეთში სამი მწვრთნელია, რომლებიც ქართველებს თვალდახუჭულები ენდობიან - ნალჩიკის „სპარტაკის“ თავკაცი იური კრასნოჟანი, ამჟამად კიევის „დინამოში“ გადასული იური სიომინი და „რუბინის“ მწვრთნელი ყურბან ბერდიევი. თუმცა მათ შორის კრასნოჟანი გამორჩეული იმითაა, რომ იმედგაცრუებული და სხვა გუნდებიდან გამოშვებულ ქართველები მაღალ დონეზე აათამაშა - შენ, ამისულაშვილი, გვაზავა, ჩიხრაძე და ა.შ.

- მასთან აბსოლუტურად ყველა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა. ეს იმიტომ, რომ ძალიან კარგი ადამიანი და მწვრთნელია.

**- გულწრფელად გვითხარი, შარშანდელი წლის საუკეთესო დებიუტანტის პრიზის შემდეგ, „სატურნიდან“ გამოშვებამ საკუთარი ძალების რწმენა ხომ არ შეგირყია?**

- ცოტათი, შეიძლება, მართლაც იმოქმედა, მაგრამ ჩემში ეჭვი არ შემპარვია.

**- გაურკვევლობამ დრო და წინსვლის საშუალება დაგიკარგა. ახლა გუნდის შერჩევას დიდი სიფრთხილით მოეკიდები...**

- რა თქმა უნდა. ჯერ გათავისუფლების ფურცელი უნდა ავიღო და მერე კი ვიცი, სად და რატომ უნდა წავიდე.

მერაბ მამულაშვილი



გოგიტა გოგუა

# სირაძემ მინი ითამაშა

საქართველო-ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა მატჩში მიღებული ტვინის შერყევის შემდეგ, **დავით სირაძე** უკვე მწყობრშია. იგი „პადერბორნთან“ ერთად მეორე წრისთვის ემზადება და უკვე სრული დატვირთვითაც ვარჯიშობს. ახალი წლის შემდეგ „პადერბორნმა“ მინი ფეხბურთის ტურნირში მიიღო მონაწილეობა, სადაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ფინალამდე მივიდა. გადამწყვეტ მატჩში სირაძე და მისი თანაგუნდელები „ოსნაბრიუკთან“ 2:4 დამარცხდნენ. მანამდე „პადერბორნმა“ გზიდან მეტად ძლიერი მეტოქეები, მათ შორის „ბოხუმი“ და „არმინია“ ჩამოიცილა. საერთო ჯამში, სირაძეს მოედანზე დიდი დრო არ გაუტარებია, მისი ჩათვლით, ამ ტურნირში „პადერბორნის“ მხოლოდ 12-მა ფეხბურთელმა ითამაშა.

ლევან ჯანეზაშვილი

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

# ბარაბაძე და კარლ ცაისი ერთმანეთს დაშორდნენ

იენის „კარლ ცაისში" საკადრო წმენდა დაიწყო. მართალია, გუნდიდან გაშვებული ლიტველი სპეციალისტი **ვალდას ივანაუსკასი** იენელთა ხელმძღვანელობამ გუნდში დააბრუნა, მაგრამ ეს დროებითი ღონისძიება აღმოჩნდა და მალე მეორედ გაუშვა.

„კარლ ცაისში" კვლავ ახალი მთავარი მწვრთნელი დანიშნეს და ის ერთბაშად ცხრა ფეხბურთელს შეელია. წამსვლელთა შორის აღმოჩნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე**. რეზო საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია შეუცვლელი, თორემ გერმანიაში მას თავის გამოჩენის საშუალება არც მისცემია.

როგორც შევიტყვეთ, ბარაბაძემ წამოსვლა, მენეჯერთან შეთანხმების შედეგად, თავად გადაწყვიტა. მართალია, მას იენელებთან კონტრაქტი წლის ბოლომდე აკავშირებს, მაგრამ ვადამდე შეწყვეტაზე კლუბთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ის დღემდე „კარლ ცაისში" ვარჯიშობს, მაგრამ მისი წამოსვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

19 წლის თავდამსხმელი პერსპექტიული რომ არის, სწორედ ამიტომაც აიყვანეს და ეს ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრებშიც გამოჩნდა. ის და **ბექა გოცირიძე** ნაკრების ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები არიან.

რეზოს ეს ნაბიჯი ტყუილად არ გადაუდგამს. როგორც შევიტყვეთ, მას ერთდროულად ხუთი კლუბი იწვევს, მათგან სამი ევროპიდანაა, თითო-თითო კი რუსეთიდან და უკრაინიდან. გვითხრეს, რომ რუსეთიდან ბარაბაძემ საკმაოდ ძლიერი კლუბის წინადადება მიიღო, მაგრამ ჯერ საბოლოოდ თავადაც არაა გარკვეული, სად უფრო რეალურია გადასვლა.

გარდა უთამაშებლობისა, ბარაბაძეს აღარ სურდა დარჩენილიყო კლუბში, რომელიც გერმანელი და რუსი მეპატრონეების დავაში გაიჭყლიტა. ამ არეული ვითარების გამოხატულებაა იგივე ივანაუსკასის გასვება-დაბრუნებისა და კვლავ გასვების გაუგებარი პროცესი.

სხვა დანარჩენი ქართველები კი გუნდში არიან და მათ ჯერჯერობით არაფერი ემუქრებათ. სეზონისთვის ვარჯიში **გიორგი სეთურიძემაც** დაიწყო, რომელიც კლუბში ზაფხულში აიყვანეს, მაგრამ ტრავმის გამო, „კარლ ცაისს" ერთხელაც ვერ დაეხმარა. მან ორმხრივ თამაშშიც მიიღო მონაწილეობა და ახალი მწვრთნელის მოწონება დაიმსახურა.


რევაზ ბარაბაძე

**მერაბ მამულაშვილი**

# მიულერი: ყენია უაღრესად ნიჭიერია!

## შალკეს მენეჯერი ბედნიერია, რომ ლევანი გადაიბირა

**ლევან ყენიას** „შალკეში" ტრანსფერს გერმანული პრესაც გამოეხმაურა. გუშინ, „კიკერის" ვებ-გვერდმა ქართველ ტალანტს სტატია მიუძღვნა, რომელსაც სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ.

*„ქართველი ტალანტისთვის ბრძოლა „შალკემ" მოიგო – 17 წლის* ***ლევან ყენია***

, რომელსაც ცოტა ხნის წინათ საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, კარიერას გელზენკირხენულ კლუბში გააგრძელებს. ყენია „შალკეში" თბილისის „ლოკომოტივიდან" გადადის. მის კონტრაქტს ვადა 2012 წლის 30 ივნისამდე ექნება. ხელშეკრულების ვადა 2008 წლის 18 ოქტომბერს იწყება, ანუ იმ დღეს, როცა ქართველი ფეხბურთელი 18 წლის გახდება.

17 წლის ტალანტი, რომელსაც საქართველოს ნაკრებში დებიუტი 16 წლის ასაკში ჰქონდა, ბუნდესლიგის მეორე წრეში „შალკეს" 19 წლამდელთა გუნდს დაეხმარება. მომავალი ზაფხულიდან ლევანი ბუნდესლიგის განაცხადში იქნება შეყვანილი. კონტრაქტი კი ძალაში 18 ოქტომბრიდან შევა. ყენიას, რომლისთვისაც წამყვანი ევროპული კლუბები იბრძოდნენ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით 4 თამაში აქვს ჩატარებული.

„ლევან ყენია უაღრესად ნიჭიერი ფეხბურთელია, შესანიშნავად ფლობს ბურთს, ძალიან სწრაფია და ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. ძალიან მიხარია, რომ მისი გადმობირება მოვახერხეთ," – აცხადებს „შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**.

**გოტფრიდ ლენცი**



# ციმაკურიძე ზარიიდან წავიდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტან **გიორგი ციმაკურიძეს** საახალწლოდ საზრუნავი გაუჩნდა - ახალი კლუბის მოძებნა სჭირდება, უკრაინული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, ლუგანსკის „ზარიას" ქართველ მცველს შეელია.

შეგახსენებთ, რომ გიორგი შარშან ამ დროს წავიდა ალჩევკის „სტალიდან" და ლუგანსკელთა კლუბში ჩაირიცხა, მაგრამ ჯერ ტრავმების, შემდეგ კი მწვრთნელის უნდობლობის გამო, ძირითად შემადგენლობაში თამაში არ ეღირსა. ალბათ, ეს გადაწყვეტილება მისთვის უკეთესიც იყო, რადგან 24 წლის მოთამაშისთვის სათადარიგოებში ჯდომა მიუღებელია.

სამაგიეროდ, ლუგანსკელებს ქართველი თავდამსხმელი **ვასილ გიგიაძე** უნდა შეეძინათ, მაგრამ დღემდე ტრანსფერი არ შემდგარა. მიზეზი მოთამაშის ფასზე კლუბების შეუთანხმებლობაა. არადა, სეზონისთვს მზადება ლამის ყველა უკრაინულმა კლუბმა დაიწყო და გიგიაძე ისევ გაურკვევლობაშია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართველები საუკეთესოებში

გასული სეზონის დასრულების შემდეგ, ქართველი ლეგიონერების ნაწილი, ამა თუ იმ კლუბის საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დაასახელეს. ასე მაგალითად, **მამუკა ლომიძე** კიშინიოვის „ზიმბრუს" წლის საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში დაასახელეს.

ყაზახეთის ეროვნული ნაკრებისა და შვედური „სუნდსვალის" მეკარე, წარმოშობით ქართველი **დავით ლორია** ყაზახეთში წლის საუკეთესოთა შორის მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ დეკემბერში სეზონის საუკეთესოთა სამეულში დაასახელეს **დავით მუჯირი** (სამარის „კრილია სოვეტოვი"), **დავით კვირკველია** (ზაპოროჟიეს „მეტალურგი"), **გიორგი შაშიაშვილი** („შტურმი") და **კახა ალადაშვილი** (უჟგოროდის „ზაკარპატიე").

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-გ6 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი/ს. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



## კობი და ქართული ტრადიციები

„შალკეს" ოფიციალური ვებ გვერდის კორესპონდენტები გუნდის ფეხბურთელებს საშობაო და საახალწლო თემაზე გაესაუბრნენ და დაინტერესდნენ, როგორ ხვდებიან ისინი ამ დღესასწაულებს. რესპონდენტთა შორის **ლევან კობიაშვილიც** იყო, რომელმაც ქართულ სადღესასწაულო ტრადიციებზე ისაუბრა.

*„ქართველები იულიუსის კალენდრით ვხელმძღვანელობთ, ამიტომაც ჩვენთან შობა 7 იანვარს დგება. ეს დღესასწაული ძალიან გვიყვარს, მაგრამ ყველაზე დიდი ზეიმი მაინც 31 დეკემბრის ღამეს გვაქვს. ახალ წელს მეუღლე* ***თამართან*** და შვილებთან, **ნიკასა** და **სალომესთან** ერთად, შინ ვხვდები, რის შემდეგაც მშობლებსა და მეგობრებს მოვინახულებთ ხოლმე. რა თქმა უნდა, საახალწლო საჩუქრების ტრადიცია ჩვენც გვაქვს, ყველაზე მეტად ეს ბუნებრივია, ბავშვებს უხარიათ. საახალწლო სუფრის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი გოზინაყია, ასევე ჩურჩხელა. გარდა ამისა, ხორცეულსა და ქართულ ღვინოსაც გეახლებით. მოკლედ, ქართული სუფრა ძალიან მრავალფეროვანი და მიმზიდველია", - უამბო კობიმ გერმანელებს.

ლევან ჯანეზაშვილი

## ლვინიანიძე ტენერიფეში მიჰყავთ

იმის მიუხედავად, რომ **მათე ლვინიანიძეს** მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს, „მიუნხენ 1860"-თან ერთად იგი ესპანურ შეკრებაზე მაინც გაემგზავრება. „ცისფერი ლომები" სეზონის მეორე ნახევრისთვის ტენერიფეში მოემზადებიან, სადაც 12-დან 21 იანვრამდე დაჰყოფენ. მათე სრული დატვირთვით ვარჯიშს მოგვიანებით გააგრძელებს, წესით, უახლოეს ოფიციალურ მატჩს ახალგაზრდა ქართველი მცველი სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს. კლუბის სამედიცინო შტაბის ცნობით, მისი გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

29 იანვარს „მიუნხენი" გერმანიის თასის მერვედფინალში აახენის „ალემანიას" ეთამაშება. 26-ში ამხანაგური შეხვედრაა, მაგრამ არანაკლებ პრინციპული - „ალიანს არენაზე" დიდი მიუნხენური დერბი შედგება, რალა თქმა უნდა, „ბაიერნსა" და „მიუნხენ 1860"-ს შორის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ზორან ფილიპოვიჩი საქართველოში კვლავ გვესტუმრება

# უცნობ-ნაცნობი მეტოქე

...ახალ წელს ახალი იმედებით ვხვდებით; იმედი გვაქვს, რომ ახალი, 2008 წელი ქართული ფეხბურთისთვისაც წარმატების მომტანი იქნება. უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავი კი ჩვენი უპირველესი გუნდია - საქართველოს ეროვნული ნაკრები! ჩვენს ნაკრებს კი მომავალი წლის შემოდგომაზე უმნიშვნელოვანესი თამაშების ჩატარება მოუწევს - მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებას ვგულისხმობთ. საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის მეოთხე ცდა იქნება: მანამდე (1998, 2002 და 2006 წლებში) ამ უმნიშვნელოვანესმა საფეხბურთო ფორუმმა უჩვენოდ ჩაიარა. ჩვენს ქვეჯგუფში მოხვედრილ მეტოქეებზე უკვე ითქვა და მომავალ წელსაც სათქმელი ბევრი იქნება: იტალიაზე, ალბათ, არც ღირს საუბარი - ისედაც ყველაფერი ნათელია; ბულგარეთი და ირლანდია ყველანაირად ეცდებიან ჯგუფში მეორე ადგილისთვის იბრძოლონ; კვიპროსული ფეხბურთი ბოლო დროს აღმავლობას რომ განიცდის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე არაერთხელ დავრწმუნდით. ვინღა რჩება? ვინ და - ჩერნოგორია, ფიფა-უეფას „ოჯახის" ახალი წევრი; ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლობის სტატუსიც სულ ახლახან მიიღო და რომლის საფეხბურთო ნაკრებიც ნელ-ნელა იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო საფეხბურთო რუკაზე.

ჩერნოგორიას, ყოფილი იუგოსლავიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით (ხორვატია, სლოვენია, მაკედონია, ბოსნია) დამოუკიდებლად არსებობა ცოტა „დაუგვიანდა"; თანაც, ფაქტობრივად, სერბეთის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა ყოველთვის. ეგ კი არა, ძალიან ბევრმა, ალბათ, არც იცოდა, რომ 90-იანი წლების ორი ვარსკვლავი - **დეიან სავიჩევიჩი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** ჩერნოგორიელები ყოფილან (და არა - სერბები). მიატოვიჩი დღეს უცხოეთში მოღვაწეობს - მადრიდის „რეალში" მნიშვნელობით სულაც მეორე კაცია. რაც შეეხება სავიჩევიჩს, იუგოსლავიის ნაკრებისა და „მილანის" ყოფილ ვარსკვლავს, სწორედ იგი გახლავთ ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ფეხბურთის სამყაროში კიდევ ერთი ცნობილი ჩერნოგორიელი **მირკო ვუჩინიჩია** - „რომას" ნიჭიერმა ფორვარდმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში არნახულ პროგრესს მიაღწია. ამიტომაც არის, რომ „რეალის" ინტერესების სფეროშიც მოექცა და სხვა არანაკლებ ბობოლა გუნდებისაც, მაგრამ „რომას" ხელმძღვანელობა ჩერნოგორიელ ფორვარდთან განშორებას არ აპირებს. ისე, რაღა შორის მივდივართ: აქ, საქართველოშიც ხომ გვყავს ჩერნოგორიელი ფეხბურთელი? 19 წლის **ილია სპასოევიჩი** საქართველოში ამ წლის დასაწყისში ჩამოვიდა. ვიცოდით, რომ ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო და... მორჩა, მეტი არაფერი. ისიც გავიხსენოთ, რომ ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას: სპასოევიჩმა ვერც ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი და იმ მცირე სათამაშო დროის განმავლობაშიც მოედანზე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. მაგრამ, ეს წინა სეზონში იყო; აი, დაიწყო ახალი სეზონი და დღევანდელი „დინამო" უკვე წარმოუდგენელია სპასოევიჩის გარეშე - ჩერნოგორიელმა ახალგაზრდამ კონკურენციასაც გაუძლო, გოლების გატანასაც მოუხშირა და, რაც მთავარია, სტაბილურად ითამაშა. თანაც, მისთვის უჩვეულო და ახალ ამპლუაში - ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე. სპასოევიჩი „ლელოს" ვერსიით რამდენჯერმე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში, თავისი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც სისტემატურად იძახებდნენ, მაგრამ, როგორც თვითონ განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში, ჩერნოგორიის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსი არ აქვს! მიზეზი კი თურმე ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან პირადი უთანხმოება ყოფილა... ჰოდა, ალბათ, საინტერესოა, იმ კაცსაც გავეცნოთ, „ჩვენს" ილიას რომ „გვიჩაგრავს" და ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების გაძღოლა რომ ანდო სავიჩევიჩმა.

**ზორან ფილიპოვიჩი** 1953 წლის 6 თებერვალს დაიბადა ტიტოგრადში (ჩერნოგორიის უმთავრეს ქალაქში). 17 წლის ასაკში „ცრვენა ზვეზდაში" ჩაირიცხა და ათი სეზონის განმავლობაში იუგოსლავიის უპირველესი გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლებოდა. სხვათა შორის, ფილიპოვიჩი ჩინებული შედეგიანობითაც გამოირჩეოდა - თავის ქვეყნის ჩემპიონატში 207 შეხვედრაში 93 გოლი აქვს გატანილი. თანაც, წლების განმავლობაში იუგოსლავიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის **დრაგან ჯაიჩის** გვერდით თამაშობდა. მერე უცხოეთში გააგრძელა კარიერა - ერთი სეზონი „ბრიუგეში" თამაშობდა, საიდანაც პორტუგალიის ყველაზე ტიტულოვან გუნდში „ბენფიკაში" გადავიდა. სამი სეზონი გაატარა ფილიპოვიჩმა „ბენფიკას" შემადგენლობაში და ამ ხნის განმავლობაში 84 მატჩში 42 გოლი გაიტანა. 1981-84 წლებში ფილიპოვიჩმა „ბენფიკასთან" ერთად საშინაო ასპარეზზე არაერთი ტიტული მოიპოვა და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავ **შალანასთან** ერთად გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა. 1983 წელს კი სულ მცირე დააკლდა უეფას თასი რომ მოეპოვებინა - „ბენფიკა" ფინალში დამარცხდა „ანდერლეხტთან". ფილიპოვიჩის უკანასკნელი „სერიოზული" კლუბი „ბოავიშტა" იყო, კარიერა კი პორტუგალიის მეორე ლიგაში დაასრულა. თუმცა მალე სხვა კარიერა დაიწყო - ამჯერად უკვე ფილიპოვიჩი-მწვრთნელისა. სწორედ მისი დიდი დამსახურება იყო, რომ პროვინციულმა „სალგეირუშმა" ჯერ პორტუგალიის პირველი (ანუ, უმაღლესი) ლიგის საგზური მოიპოვა, მერე კი მყარად დამკვიდრდა კიდეც. ამ მოკრძალებულ კლუბში ფილიპოვიჩმა ხუთი სეზონი იმუშავა, მერე „ბეირა მარის" საშველად უხმეს; და აი, როცა „ბოავიშტას" გაუჭირდა, მაშინათვე მას - ამ კლუბის ყოფილ ფეხბურთელს უხმეს. შედეგი შთამბეჭდავი იყო - ფილიპოვიჩმა „ბოავიშტა" ჯერ გავარდნისგან გადაარჩინა, შემდეგ სეზონში კი უკვე ევროტურნირების საგზური მოუტანა! და აი, 1996 წელს ფილიპოვიჩის „ბოავიშტას" უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში მეტოქედ... თბილისის „დინამო" ერგო! ამ დაპირისპირებაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ისევ ფილიპოვიჩის სამწვრთნელო კარიერას მივყვეთ, როცა „ბოავიშტას" მერე სამშობლოში დაუძახეს. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **სლობოდან სანტრაჩის** თანაშემწე სწორედ ფილიპოვიჩი იყო (ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა - ფილიპოვიჩს თავის დროზე იუგოსლავიის ნაკრებშიც აქვს ნათამაშები - 13 მატჩში 2 გოლი). მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფილიპოვიჩი უკვე იტალიაშია და თანამემამულის - **ვუიადინ ბოშკოვის** თანაშემწედ მუშაობს „სამპდორიაში". 1999 წელს კი ბოშკოვი-ფილიპოვიჩის დუეტი უკვე იუგოსლავიის ნაკრებში იწყებს მოღვაწეობას და მათი დიდი მეცადინეობით გუნდმა ჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, მერე მეოთხედფინალშიც გავიდა, მაგრამ ჰოლანდიელებთან გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა (1:6). არადა, იუგოსლავიის ნაკრებს იმ დროს არაერთი ცნობილი ფეხბურთელი ჰყავდა: **სინიშა მიხაილოვიჩი, დეიან სტანკოვიჩი, დარკო კოვაჩევიჩი, ვლადიმერ იუგოვიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი, სლობოდან კომლიენოვიჩი, მატეა კეჟმანი...**

...2001 წელს ფილიპოვიჩმა ის გუნდი ჩაიბარა, საიდანაც გაიცნო კიდეც საფეხბურთო სამყარომ - „ცრვენა ზვეზდამ" მისი ხელმძღვანელობით პირველსავე სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, თუმცა შემდეგ სეზონში „საუკუნის მტერთან" - „პარტიზანთან" დაპირისპირებაში დათმო ტიტული და დროებით უმუშევარი დარჩა.

2007 წლის 1 თებერვლიდან კი ზორან ფილიპოვიჩი ახლად შექმნილი ჩერნოგორიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ჯერჯერობით ამ ახალმა ნაკრებმა შვიდი მატჩი ჩაატარა (რა თქმა უნდა, ყველა ამხანაგური): სძლია უნგრელებსა და ესტონელებს, ფრედ ითამაშა სლოვენიელებთან, ხოლო იაპონიასთან, კოლუმბიასთან და შვედეთთან დამარცხდა. მოკლედ, შესარჩევ ეტაპზე მეექვსე კალათაში განთესილი გუნდებიდან ყველაზე ძლიერი მაინცდამაინც ჩვენთან მოხვდა. თანაც, ჩერნოგორიელებისთვის ეს სადებიუტო ციკლი იქნება და ფილიპოვიჩის შეგირდებიც ნებისმიერ მეტოქესთან ყოველგვარი წნეხის გარეშე ითამაშებენ.



1996 წლის 15 ოქტომბერი. დინამო-ბოავიშტა 1:0. გოგიჩაიშვილის პენალტი

...1996 წლის 15 ოქტომბერს უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ" ფილიპოვიჩის განვრთნილ „ბოავიშტას" მინიმალური სხვაობით (1:0) მოუგო. მანამდე **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით „დინამომ" წარმატებით გაიარა სამი ეტაპი: ლუქსემბურგის „გრევენმაჰერის" ძლევა არავის გაჰკვირვებია, აი, ნორვეგიული „მოლდესა" და მოსკოვის „ტორპედოს" დამარცხება კი, მართლაც, დიდი წარმატება იყო. არ დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ მაშინდელი „დინამო" ერთობ ახალგაზრდული გუნდი იყო: **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი კიკნაძე, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი** და **გივი დიდავა** 18-19 წლის ბიჭები იყვნენ. მათ გარდა გუნდში გამოცდილებიც იყვნენ: **ირაკლი ზოიძე, ნუგზარ ლობჟანიძე, გელა ინალიშვილი, როინ კერძევაძე, მამუკა მაჭავარიანი** და ორი გამოკვეთილი ლიდერიც: **გოჩა ჯამარაული** და **კახა გოგიჩაიშვილი**. სწორედ ამ ორი უკანასკნელის შთამბეჭდავმა თამაშმა (პლუს ზოიძის საიმედოობამ) დიდად განაპირობა კიდეც „ბოავიშტას" ძლევა პირველ შეხვედრაში. მატჩის მერე ფილიპოვიჩი დაბნეული იყო - ქართული გუნდისგან ასეთ თამაშს ნამდვილად არ ელოდა. ეგ კი არა, მაშინათვე მოსთხოვა თავის კლუბის ხელმძღვანელებს, რომ ყველა ღონე ეხმარათ, რათა „ბოავიშტაში" უმოკლეს ვადაში ჩარიცხულიყვნენ... ჯამარაული და გოგიჩაიშვილი.

...ორი კვირის მერე განმეორებითი მატჩი გაიმართა; შედეგი, ალბათ, ბევრს ახსოვს: „ბოავიშტამ" დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა „დინამო" და შემდეგ ეტაპზე გავიდა. კარგად გვახსოვს, თუ რა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ჩვენთან „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელები: - ეს, როგორ, „სოფლის" გუნდთან ასეთი ანგარიშით დამარცხდითო? არადა, ნამდვილად არ იყო „ბოავიშტა" „სოფლის" გუნდი; ჯერ მარტო, შემსრულებლები ჰყავდა, ერთი-მეორეზე უკეთესი და ბევრმა მათგანმა მომავალში დიდი ფეხბურთიც ითამაშა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ჰოლანდიელი **ჯიმი-ფლოიდ ჰასელბანკი**, პორტუგალიელი **ნუნუ გომეში**, ტრინიდადელი **რასელ ლატაპი** (სამივე დღესაც აგრძელებს საფეხბურთო კარიერას); „ბოავიშტას" რეზერვზე ისიც მეტყველებდა, რომ „დინამოს" ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშეც მოუგო - რუმინელი **დანიელ ტიმოფტე** და ბოლივიელი **ერნან სანჩესი** იმ დროისთვის თავის ქვეყნის ნაკრების ლიდერებად ითვლებოდნენ. „დინამოს" კატასტროფულ წაგებას ბევრი მიზეზი ჰქონდა. უმთავრესი, ალბათ, აკლიმატიზაცია იყო: იმ პერიოდში საქართველოსა და პორტუგალიას შორის დროში სხვაობა... 5 საათი იყო! ეგ კი არა, „ბოავიშტასა" და „დინამოს" მატჩი სამდღიანი წვიმისგან დამძიმებულ „ბესას" მინდორზე ჩვენი დროით... ღამის სამის ნახევარზე დაიწყო. და მთავარი მიზეზიც: ფილიპოვიჩმა ტაქტიკური დუელი მოუგო თავის ქართველ კოლეგას. ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ „ბოავიშტას" ფეხბურთელებმა თამაშიდან გამოთიშეს „დინამოს" ორი ლიდერი: ჯამარაული და გოგიჩაიშვილი. სამწუხაროდ, თბილისში ერთობ არასასიამოვნო გაგრძელება მოჰყვა ამ ამბავს - მავანთა აზრით, ჯამარაული და გოგიჩაიშვილი იმ შეხვედრაში „ფეხებს უფრთხილდებოდნენო"; აბა, თავიანთ მომავალ გუნდს ხომ არ დაამარცხებდნენო - აი, ასე „ასაბუთებდნენ" ამ ამაზრზენ ვერსიას. არადა, როგორც ამ მატჩის თვითმხილველი, ვიტყვი, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა - უბრალოდ, უფრო გამოცდილმა გუნდმა მეტოქის ყველა შეცდომაც მაქსიმალურად გამოიყენა და რიცხვობრივი უპირატესობაც (მატჩის დასაწყისშივე „დინამო" ათი კაცით დარჩა). თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწვრთნელის ფაქტორმაც დიდი როლი შეასრულა. ის მწვრთნელი კი, ზორან ფილიპოვიჩი მალე ისევ გვეწვევა თბილისში - ამჯერად უკვე ჩერნოგორიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში.

**გია ტუხაშვილი**

*P.S. მერვედფინალში „ბოავიშტას" მილანის „ინტერი" შეხვდა. მაშინდელ „ინტერს" ინგლისელი როი ჰოჯსონი წვრთნიდა, გუნდში კი თამაშობდნენ: ჯან-ლუკა პალიუკა, ჯუზეპე ბერგომი, ხავიერ ძანეტი, ნიკოლა ბერტი, ჩირიაკო სფორცა, პოლ ინსი, ივან სამორანო, იური ჯორკაეფი, ყოსლინ ანგლომა... ჰოდა, ჩვენი ჯავრიც „ინტერმა" იყარა „ბოავიშტაზე": შინ 5:1 მოუგო, სტუმრად - 2:0.*



1996 წლის 15 ოქტომბერი. დინამო-ბოავიშტა 1:0. დინამოელთაგან გოჩა ჯამარაული (8) ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVIII ტური

# ქებათა ქება კასილიასს

## იკერი რომ არა, რეალი აუცილებლად წააგებდა



რეალი-სარაგოსა. ჟულიო ბაპტიშტასა და პეტერ ლუქსენის ორთაბრძოლა

2008 წლის პირველი პრიმერადივიზიონური დაპირისპირების წინ **ფრანკ რაიკაარდმა** გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ "ბარსელონა" "მალიორკასთან" გასვლით შეხვედრას ლამაზი ფეხბურთის თამაშით მოიგებდა. კატალონიურმა გრანდმა მართლაც გაიმარჯვა, თუმცა ძნელი სათქმელია, ჰოლანდიელი სპეციალისტის შეგირდებმა რამდენად ლამაზად იასპარეზეს. ესპანური მედიის შეფასებით "ბარსა" ბალეარელებს ვერაფრით სჯობდა, მაგრამ ერთი რამ ნებისმიერ შემთხვევაში ხაზგასასმელია, სუპერკლასიკოში განცდილი ფიასკოს შემდეგ კატალონიურ გრანდს სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ "ბარსელონას" გამარჯვება ნებისმიერ ფასად უნდა მოეპოვებინა. ამოცანა გადაიჭრა და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რაიკაარდს ახლა თამაშის არცთუ სახარბიელო ხარისხი დიდად არ აღელვებს.

სტუმრების ოპტიმისტურ განწყობას გარკვეულწილად ისიც განაპირობებდა, რომ მათ გუნდს პალმა დე მალიორკაში 2000-01 წლების სეზონის შემდეგ ერთხელაც არ წაუგია. დადებითი სტატისტიკის მიუხედავად, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გიგანტს პირველ ტაიმში სერიოზული პრობლემები შეექმნა. მასპინძლები საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. ნახევარდაცვაში მათ მცირე უპირატესობა მოიპოვეს. ამის გამო "ბარსას" სახიფათო იერიშების მოწყობა უჭირდა. სამაგიეროდ, **ვიქტორ ვალდესს** არაერთხელ დაემუქრა საფრთხე. სტუმრებმა თამაშში გარდატეხის შეტანა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, **გუისას** ტრავმამაც განაპირობა. კუნძულელებმა საუკეთესო ფორვარდი დაკარგეს, რამაც "ბარსას" მცველებს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა. დაახლოებით 15 წუთში ანგარიშიც გაიხსნა. **რაფა მარკესმა** კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავური დარტყმით კარში მიუჩინა ადგილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეცვლაზეშესულმა **ბოიან კრკიჩმა** თამაში მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა. მანამდე **გუდიონსენი** და ინიესტა პოზიციებს უშედეგოდ ცვლიდნენ. მათ შრომას საფრთხე თითქმის არასოდეს მოსდევდა. ახალგაზრდა ფორვარდმა კი ბალეარელთა დაცვას სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. რაიკაარდმა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი **ტიერი ანრისაც** მისცა. არადა, საუბრობდნენ, რომ ფრანგ ფორვარდს ზურგის ტრავმა ბოლომდე არ ჰქონდა მოშუშებული. ასე იყო თუ ისე, კატალონიელებმა საერთო ძალისხმევით მართლაც უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვება შეძლეს. კუნძულელებს განაჩენი **სამუელ ეტოომ** გამოუტანა. კამერუნელმა ულამაზესი გოლი გაიტანა.

ფრანკ რაიკაარდი გამარჯვებით ცხადია, ძალიან კმაყოფილი დარჩა: "*ვერავინ ვიტყვით, რომ იოლად მოვიგეთ. მასპინძლებმა უშეღავათო ბრძოლა გაგვიმართეს. განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ ყველა ბარიერი გადავლახეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ. უნდა აღინიშნოს, რომ მოედნის საფარი ძალიან დაბალი ხარისხის იყო, რამაც დამატებითი პრობლემები შეგვიქმნა. მიუხედავად ყველაფრისა, აბსოლუტურად ყველა განსაცდელს გავუძელით და საქმე გამარჯვებამდე მივიყვანეთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გულშემატკივრები ხარისხით უკმაყოფილოები დარჩებოდნენ. რა თქმა უნდა, "ბარსელონა" სწორედ ლამაზი ფეხბურთისთვისაა შექმნილი, მაგრამ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ სეზონის ამ მონაკვეთზე, როცა დაძაბულობა პიკს აღწევს ძალაუნებურად პირველ პლანზე შედეგი დგება. ბედნიერი გახლავართ, რომ მოვიგეთ. ახლა იმედი ვიქონიოთ, რომ "სარაგოსა" "რეალს" ქულებს დააკარგვინებს და პრიმერა დივიზიონი ინტრიგას დაიბრუნებს.*"

სამართალს თვალი რომ არ დაეხუჭა, რაიკაარდის ოცნებას ხორცი უნდა შესხმოდა. ვინც "რეალისა" და "სარაგოსის" შეხვედრა იხილა, ალბათ დაგვეთანხმება, რომ არაგონელებმა მასპინძლებზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. ზოგადად ცნობილი ამბავია, რომ ბერნდ შუსტერის ბიჭებს ამა თუ იმ მიზეზის გამო გამოცხადებული პაუზა ყოველთვის ცუდ სამსახურს უწევს. ამჯერადაც ასე მოხდა, თუმცა საშობაო არდადეგები სამეფო კლუბისთვის ბევრად უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან დედაქალაქელებმა მრავალი სირთულის მიუხედავად მაინც მოიგეს. არადა, "სარაგოსას" სულ მცირე 12 სახიფათო მომენტი მაინც ჰქონდა. რომ არა **იკერ კასილიასის** ფანტასტიკური თამაში, მასპინძლები 2008 წელს აუცილებლად წაგებით დაიწყებდნენ. იკერი მართლაც შეუდარებელი გახლდათ. გამორიცხულია, რომ ამდენი გამოუყენებელი შანსის შემდეგ არ დაისაჯო. მეორე ტაიმში სტუმრებს დედაქალაქელთა მწვავე კონტრიერიში გამოეპარათ და **რუუდ ვან ნისტელროის** გატანის საშუალება მისცეს. თქვენ წარმოიდგინეთ, "სარაგოსას" ამის შემდეგაც შეეძლო შეგდება, მაგრამ კასილიასი ისევ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ამასობაში, არაგონელები მეორედაც შეცდნენ. ამით **რობინიომ** ისარგებლა. კასილიასმა კი ბოლო მკვდარი ბურთი საფინალო სასტვენამდე ორიოდ წამით ადრე მოიგერია. გმირული თამაშის დასაფასებლად იკერმა საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა. მან პირადი რეკორდი გააუმჯობესა. საქმე ის არის, რომ "რეალის" გოლკიპერს უკვე 378 წუთია, გოლი არ გაუშვია.

"ესპანიოლს" მშვენიერი დღე გაუთენდა. კატალონიელებმა პირველი ტაიმი გენიალურად ჩაატარეს. **რაულ ტამუდოს** დუბლისა და **ვალდოს** ულამაზესი გოლის წყალობით "ვილიარეალს" მათ გადარჩენისთვის მინიმალური შანსიც არ დაუტოვეს. სხვათაშორის, რაულ ტამუდომ პრიმერა დივიზიონში უკვე ათ გოლს მოუყარა თავი და ბომბარდირთა დავაში პოზიციები განიმტკიცა. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ "ვილიარალმა" "ესპანიოლთან" გასვლითი შეხვედრა 2001-02 წლების სეზონის შემდეგ პირველად წააგო.

"ვალიადოლიდმა" მადრიდში სენსაციური გასვლითი გამარჯვება მოიპოვა. კასტილიელებმა თამაში კონტრიერიშებზე ააგეს და მასპინძლებს შანსი არ დაუტოვეს. "ხეტაფეს" მთავარმა მწვრთნელმა, **მიქაელ ლაუდრუპმა** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ ის და მისი შეგირდები "ვალიადოლიდის" დამარცხებაში 100 პროცენტით იყვნენ დარწმუნებულები და სწორედ ამ ამპარტავნების გამო დაისაჯნენ.

ახალი წლის პირველივე შეხვედრის მოგებით "ატლეტიკო" ჩემპიონთა ლიგის ზონაში დაბრუნდა. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მადრიდელებისთვის ავბედითი ტრადიციისთვის წერტილის დასმა არანაკლებ სასიხარულო იყო. დაუჯერებელია, მაგრამ "როხიბლანკომ" "რიასორზე"1994-95 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოიგო. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში კი დედაქალაქელებს "დეპორტივოს" სტადიონზე ერთი გოლიც არ ჰქონდათ გატანილი.

"ვალენსიას" საშველი არა და არ დაადგა. მას შემდეგ, რაც "ლამურებს" სათავეში **რონალდ კუმანი** ჩაუდგა, გუნდმა მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ჰოლანდიელმა **ალბელდა, ანგულო** და **კანისარესი** დიდი ამბით კი გაყარა გუნდიდან, მაგრამ ცხოვრება აშკარად გვაჩვენებს, რომ პრობლემა მხოლოდ ამ ფეხბურთელებში არ არის. ყოველ შემთხვევაში, კუმანის გუნდს კრიზისის დაძლევა ისევ ძალიან უჭირს. ამასობაში, **დე ბიაზიმ** დაჩაჩანაკებულ "ლევანტეს" პირველი საგარეო ქულა მოუტანა, თუმცა ამ გუნდს პრიმერა დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ერთი ფრე, რა თქმა უნდა, არ ეყოფა.

### მომდევნო ტური

13 იანვარი. **ბეტისი-ხეტაფე, ვალიადოლიდი-რეკრეატივო, ალმერია-ესპანიოლი, ვილიარეალი-დეპორტივო, ატლეტიკო-ვალენსია, ლევანტე-რეალი, სარაგოსა-მალიორკა, ბარსელონა-მურსია, ოსასუნა-რასინგი, ბილბაო-სევილია.**

### მალიორკა-ბარსელონა 0:2

**მალიორკა:** ლუქსი, ვარელა, დავიდ ნავარო, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, იონას გუტიერესი, პერეირა, არანგო, ბასინასი (71. ტრეხო), იბაგასა (79. ბორხა ვალერო), გუისა (49. ვიქტორი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, პუიოლი, მარკესი, გ. მილიტო, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, იაია ტურე (69. ედმილსონი), ეტო'ო, გუდიონსენი (46. კრკიჩი), ჟოვანი (64. ანრი).

**გოლები:** 0:1 მარკესი (62), 0:2 ეტო'ო (90)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 11(2)-16(5); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 0-3; **ჯარიმა:** 16-12; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 25 000

### ესპანიოლი-ვილიარეალი 3:0

**ესპანიოლი:** კამენი, ტორეხონი, ლაკრუსი, დავიდ გარსია, საბალეტა, ვალდო, დე ლა პენია, მოისეს ურტადო, რიერა (59. მოა), ლუის გარსია (72. ლოლა), ტამუდო (84. კორო).

**ვილიარეალი:** ვიერა, ფუენტესი, გოდინი, კაპდევილა, ანხელი, მავუბა, კანი, პირესი, სენა (65. კასორლა), მატი ფერნანდესი, როსი.

**გოლები:** 1:0 ტამუდო (8), 2:0 ვალდო (13), 3:0 ტამუდო (35)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(7)-11(2); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 18-17; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 35 000

### ხეტაფე-ვალიადოლიდი 0:3

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი, კორტესი, დიასი, ლიხტი, ჩელესტინი, გრანერო, პაბლო ერნანდესი (65. ბრაულიო), პალიარდო (46. გავილანი), დელ მორალი (77. ალბინი), უჩე.

**ვალიადოლიდი:** ასენხო, გარსია კალვო, მარკოსი, მუნიოსი, კაპდევილია (86. სესმა გონსალესი), მარტინესი (87. ბორხა), ლოპესი, რობლესი, დორადო, გუტიერესი (72. კამაჩო), ლორენტე.

**გოლები:** 0:1 დორადო (54), 0:2 რუბიო (67), 0:3 დორადო (76)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 11(5)-13(4); **კუთხური:** 8-7; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 11-18; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 14 000

### რეკრეატივო-ალმერია 1:1

**რეკრეატივო:** სორენტინო, ბუსონი, კასერესი, კალვო, სერანო, ვასკესი, მარტინსი, ტორნავაკა (75. გარსია ბარენო), კამუნიასი (79. კონგო), გერერო, სინამა-პონგოლე.

**ალმერია:** ალვესი, ბადიასი, ხუან გუტიერესი (78. კაბრერა), პულიდო, ბრუნო, ხუან ორტისი, მელო, ხოსე ორტისი (78. პოკეტი), სორიანო, გონსალესი (89. აკასიეტე), სანჩესი.

**გოლები:** 1:0 სინამა-პონგოლე (14), 1:1 მანე (20)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 18(9)-11(4); **კუთხური:** 10-4; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 11-24; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 17 456

### დეპორტივო-ატლეტიკო 0:3

**დეპორტივო:** მუნუა, ბარაგანი, კოლოჩინი, გუარდადო, კასმირსკი, როდრიგესი, კასტრო (61. ლოპეს ალვარესი), დე გუსმანი, სერხიო (62. ვერდუ), ბოდიპო, ლაფიტა (74. სოტო).

**ატლეტიკო:** აბიატი, ელერი, ლოპეს გერერო, პაბლო იბანიესი, პერეა, რაულ გარსია, ხურადო (74. ლუის გარსია), მაქსი როდრიგესი, სიმაო (76. რეიესი), აგუერო (68. ლორეირო), ფორლანი.

**გოლები:** 0:1 ფორლანი (40), 0:2 აგუერო (53), 0:3 ხურადო (65)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(4)-9(4); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 17-27; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 19 000

### ვალენსია-ლევანტე 0:0

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, ივან ელგერა, მარჩენა, მორეტი, ბარახა, ხოაკინი, სილვა, სანდი (46. გასპარი), ვისენტე (65. ჟიგიჩი), არისმენდი, ვილია (76. მატა გარსია).

**ლევანტე:** კუჯოვიჩი, ინიაკი, ალვარო, რუბიალესი, სერანო, ბერსონი, კურტუა (79. სერხიო გარსია), ხუან სანჩესი (63. ეტიენი), ხილი (63. ლოსანო აიალა), ტომაზი, ხეიხო.

**გაძევება:** ჟიგიჩი (85. ვალენსია)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 15(7)-8(2); **კუთხური:** 13-5; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 17-29; **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 33 000

### მურსია-ოსასუნა 2:0

**მურსია:** ნოტარიო, არსო, დე კოსი, მეხია, პენია, პაბლო გარსია, აბელი, მოვილია (62. გალიარდო), რეგეირო (59. ველესი), ბაიანო (78. რიკი), გოიტომი.

**ოსასუნა:** რიკარდო, კრუჩაგა, ფლანო, მონრეალი, ტანკო, ფონტი, მარგაირასი (81. პორტილიო), პლაშილი, პუნიალი (77. უგო ვიანა), დეიდი, ველა (66. ხუანფრანი).

**გოლები:** 1:0 გოიტომი (73), 2:0 აბელი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 12(6)-12(2); **კუთხური:** 7-4; **თამაშგარე:** 0-5; **ჯარიმა:** 22-14; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 22 000

### რასინგი-ბილბაო 1:0

**რასინგი:** ტონიო, აიოსე, სესარი, პინილოსი, კოლსა (68. ხავიერ ლოპესი), დუშერი, მონტანა, ორიოლი, მუნიტისი (18. ჩიტე), ოსკარ სერანო (63. ალვარესი), სმოლარეკი.

**ბილბაო:** არანსუბია, ამორებიეტა, დელ კამპო (75. დელ ორნო), ირაოლა, ორბისი, უსტარისი, გარმენდია (52. ადურისი), დავიდ ლოპესი (61. ლასკურაინი), ხავიერ მარტინესი, იესტე, ფერნანდო ლორენტე.

**გოლი:** 1:0 ჩიტე (44)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(2)-10(3); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 1-6; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 23 400

### რეალი-სარაგოსა 2:0

**რეალი:** კასილიასი, კანავარო, მარსელო, ჰაინცე (17. მიგელ ტორესი), სერხიო რამოსი, ბაპტისტა (79. გაგო), დიარა, სნეიდერი (55. გუტი), რობინიო, რაული, ვან ნისტელროი.

**სარაგოსა:** ვალიეხო, აიალა, დიოგო, სერხიო, ხუან გარსია, სელადესი (76. ოსკარ გონსალესი), ლუქსენი, საპატერი, დ. მილიტო, სერხიო გარსია (79. ფერნანდესი), ოლივეირა (88. პარედესი).

**გოლები:** 1:0 ვან ნისტელროი (65), 2:0 რობინიო (77)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(3)-24(11); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 18-18; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 75 000

### სევილია-ბეტისი 3:0

**სევილია:** დე სანკტისი, დანიელ ალვეში, დრაგუტინოვიჩი, ესკუდე, მოსკერა, კეიტა, ნავასი, პოულსენი (79. ხოსე მარტი), კაპელი (71. ჩევანტონი), ლუიშ ფაბიანო (64. კორეია), კანუტე.

**ბეტისი:** რიკარდო, ალვარადო, მორენო, რივასი (29. კაბესა), დამია, მუნიოსი, მარკ გონსალესი (69. ჩისკო), რივერა, ხოსე მარი, ლუიშ ედუარდო, სობისი (46. სომოსა).

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (26), 2:0 ლუიშ ფაბიანო (42), 3:0 დანიელ ალვეში (63)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 20(10)-4(1); **კუთხური:** 6-6; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 18-20; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 55 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 18 | 14 | 2 | 2 | 39-14 | 44 |
| 2. ბარსელონა | 18 | 11 | 4 | 3 | 34-13 | 37 |
| 3. ესპანიოლი | 18 | 10 | 6 | 2 | 29-19 | 36 |
| 4. ატლეტიკო | 18 | 10 | 4 | 4 | 34-19 | 34 |
| 5. ვილიარეალი | 18 | 10 | 2 | 6 | 30-27 | 32 |
| 6. რასინგი | 18 | 8 | 5 | 5 | 18-19 | 29 |
| 7. ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 22-28 | 27 |
| 8. სევილია | 18 | 8 | 2 | 8 | 35-23 | 26 |
| 9. მურსია | 18 | 5 | 7 | 6 | 16-20 | 22 |
| 10. სარაგოსა | 18 | 5 | 6 | 7 | 27-30 | 21 |
| 11. მალიორკა | 18 | 5 | 6 | 7 | 26-29 | 21 |
| 12. ვალიადოლ. | 18 | 5 | 6 | 7 | 24-27 | 21 |
| 13. ხეტაფე | 18 | 6 | 3 | 9 | 19-24 | 21 |
| 14. რეკრეატივო | 18 | 5 | 6 | 7 | 14-21 | 21 |
| 15. ოსასუნა | 18 | 5 | 5 | 8 | 20-23 | 20 |
| 16. ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 15-21 | 20 |
| 17. ბილბაო | 18 | 4 | 7 | 7 | 16-19 | 19 |
| 18. ბეტისი | 18 | 4 | 6 | 8 | 17-26 | 18 |
| 19. დეპორტივო | 18 | 4 | 5 | 9 | 16-27 | 17 |
| 20. ლევანტე | 18 | 2 | 2 | 14 | 11-33 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 9 - ვან ნისტელროი (რეალი); 8 - დ. მილიტო (სარაგოსა), ტამუდო (ესპანიოლი), აგუერო (ატლეტიკო), რაული (რეალი), მესი (ბარსელონა); 7 - გუისა (მალიორკა), ოლივეირა (სარაგოსა), კანუტე (სევილია), ფორლანი (ატლეტიკო), როსი (ვილიარეალი); 6 - მორიენტესი (ვალენსია), ლორენტე (ვალიადოლიდი), ვიქტორი (ვალიადოლიდი), რობინიო (რეალი).

### II დივიზიონი

XIX ტური

**ეიბარი-ალბასეტე 1:0**

გოლი: 1:0 დელ ოლმო (44)

**კადისი-მალაგა 0:1**

გოლი: 0:1 ბაა (1)

**კორდობა-სპორტინგი 2:2**

გოლები: 1:0 მორენო (41), 2:0 ხუანლუ (44), 2:1 მატაბუენა (78), 2:2 მატაბუენა (79)

გაძევება: მიჩელი (24. სპორტინგი)

**ალავესი-ფეროლი 1:0**

გოლი: 1:0 კორომინა (73)

**გრანადა-ხიმნასტიკი 1:0**

გოლი: 1:0 გუერა (85)

**ერკულესი-სევილია B 1:2**

გოლები: 1:0 პერესი (52), 1:1 ალფარო (56), 1:2 სევილია (90)

**ეხიდო-ხერესი 0:0**

**სალამანკა-სოსიედადი 3:2**

გოლები: 1:0 ალონსო (4), 1:1 ურანგა (48), 2:1 ალონსო (58), 2:2 არანბურუ (64), 3:2 როდრიგესი (90)

გაძევება: ხერარდო (90. სოსიედადი)

**ტენერიფე-სელტა 3:2**

გოლები: 1:0 მარტინესი (12), 1:1 კანობიო (17), 2:1 აიოსე (22), 3:1 ნინიო (39), 3:2 ოკასი (87)

**კასტელონი-ნუმანსია 0:0**

**ლას პალმასი-ელჩე 1:0**

გოლი: 1:0 დარინო (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 19 | 12 | 3 | 4 | 31-17 | 39 |
| 2. ნუმანსია | 19 | 11 | 5 | 3 | 28-15 | 38 |
| 3. სპორტინგი | 19 | 9 | 5 | 5 | 29-19 | 32 |
| 4. სევილია B | 19 | 8 | 7 | 4 | 20-18 | 31 |
| 5. ელჩე | 19 | 8 | 5 | 6 | 23-19 | 29 |
| 6. სელტა | 19 | 7 | 7 | 5 | 26-22 | 28 |
| 7. სოსიედადი | 19 | 7 | 7 | 5 | 20-18 | 28 |
| 8. ტენერიფე | 19 | 7 | 7 | 5 | 25-24 | 28 |
| 9. გრანადა | 19 | 8 | 4 | 7 | 23-23 | 28 |
| 10. ეიბარი | 19 | 8 | 4 | 7 | 21-21 | 28 |
| 11. ერკულესი | 19 | 6 | 8 | 5 | 26-21 | 26 |
| 12. სალამანკა | 19 | 7 | 5 | 7 | 27-24 | 26 |
| 13. კადისი | 19 | 7 | 4 | 8 | 17-18 | 25 |
| 14. ალავესი | 19 | 6 | 6 | 7 | 21-22 | 24 |
| 15. კორდობა | 19 | 4 | 11 | 4 | 23-25 | 23 |
| 16. კასტელონი | 19 | 5 | 7 | 7 | 17-17 | 22 |
| 17. ხიმნასტიკი | 19 | 5 | 5 | 9 | 19-23 | 20 |
| 18. ეხიდო | 19 | 5 | 5 | 9 | 17-28 | 20 |
| 19. ალბასეტე | 19 | 4 | 5 | 10 | 12-21 | 17 |
| 20. ფეროლი | 19 | 4 | 5 | 10 | 19-29 | 17 |
| 21. ლას პალმასი | 19 | 4 | 5 | 10 | 17-29 | 17 |
| 22. ხერესი | 19 | 2 | 10 | 7 | 18-26 | 16 |

იუვენტუსი

# ვან დერ ვაარტი ივლისიდან

## ტრანსფერი შეთანხმებულია. იუვე მასკერანოს ალტერნატივად სისოკოს მიიჩნევს

შაბათს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "იუვენტუსმა" 11 მილიონ გირვანქად დაიბევა **რაფაელ ვან დერ ვაარტი** და ივლისიდან ტურინში უკრავს თავს. გერმანული პრესის ცნობით, "ჰამბურგის" ჰოლანდიელი ფორვარდის თაობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და შესათანხმებელია მხოლოდ რამდენიმე დეტალი, რაც, მიმომხილველთა აზრით, სიტუაციას ველარ შეცვლის. ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ კვირაში ვან დერ ვაარტი ტურინში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. კონტრაქტის ვადა 5-წლიანია.

"ჰამბურგის" ლიდერზე "იუვენტუსი" გასული ზაფხულის შემდეგ ნადირობდა. აგვისტოში ტრანსფერის საკითხი თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ ვან დერ ვაარტმა გაითვალისწინა ჩრდილოგერმანული კლუბის მესვეურთა თხოვნა და "აოლ-არენაზე" კიდევ ერთი წლით დარჩენა გადაწყვიტა, თუმცა უარი თქვა, გაეგრძელებინა კონტრაქტი, რომელიც 2009 წლის 30 ივნისს იწურება. ის, რომ ვან დერ ვაარტი დღესაც "ჰამბურგშია" და გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში (მიუხედავად "ბაიერნის" ფაქტორისა, ჰამბურგელთა ერთ-ერთი სამიზნე სწორედ რომ პირველი ადგილია) ეხმარება, დიდი როლი მიუძღვის "ჰამბურგის" მწვრთნელს, რაფაელის თანამემამულე **ჰუუბ სტევენსს**, რომელმაც ასევე პირადად სთხოვა მას, ტურინში გადასვლისგან თავი შეეკავებინა. ვან დერ ვაარტმა სტევენსს სიტყვა მისცა და შეასრულა კიდეც, მაგრამ ახლა, როცა ცნობილი გახდა, რომ სეზონის ბოლოს "ჰამბურგი" მწვრთნელს შეიცვლის, ფეხბურთელმა ჩათვალა, რომ არჩევანში თავისუფალია. გუშინ მან კლუბის ბოლო შეთავაზებაც უარყო, არ ისურვა რა "ჰამბურგთან" კონტრაქტის 2010 წლის ივლისამდე გაგრძელება. ცნობისთვის, ბუნდესლიგაში ჩატარებულ 59 შეხვედრაში შემტევმა ნახევარმცველმა 26 გოლის გატანა მოახერხა.

*"მე უკვე ვხედავ საკუთარ თავს "იუვენტუსის" მაისურით. "ჰამბურგში" კიდევ ორწელიწადნახევარი მაქვს დარჩენილი. ვფიქრობ, ეს ძალიან ბევრია. ჩემი ოცნებაა, ვითამაშო ტოპ-კლუბში და მქონდეს მყარი გარანტია, რომ ყოველ წელს რომელიმე სერიოზულ ტიტულს მოვიგებ"*, - აცხადებს არდადეგებზე მყოფი ფეხბურთელი ერთ-ერთ ჰოლანდიურ გაზეთთან საუბარში. ის, რომ "იუვენტუსმა" მაინცდამაინც ახლა გადაწყვიტა ვან დერ ვაარტის ყიდვა და არ დაელოდა ევრო 2008-ის დასრულებას, წინდახედული ნაბიჯია, რადგან არ არის გამორიცხული, ევროფორუმის შემდეგ ჰოლანდიელის ფასი კიდევ უფრო გაიზარდოს. **კლაუდიო რანიერი** აქედანვე ცდილობს ნახევარდაცვის რეორგანიზაციას. 24 წლის ვან დერ ვაარტი ვეტერან **პაველ ნედვედის** ალტერნატივად მოიაზრება.

ამას გარდა, "იუვეს" გეგმებში რჩება **ფრენკ ლემპარდიც**, ახლოვდება შეთანხმება ახალგაზრდა არგენტინელ ფლეიმეიქერ **ევერ ბანეგასთანაც** ("ბოკა ხუნიორსი"). რანიერის სურვილია, გააძლიეროს ნახევარდაცვის საყრდენი პოზიციაც. ის ჩივის, რომ **სერხიო ალმირონსა** და **ტიაგო მენდეშს** უფრო იმპროვიზაციისკენ აქვთ მიდრეკილება, ვიდრე მეტოქის შეტევათა ჩაშლისკენ. წინა ნომერში გაუწყეთ, რომ ამ პოზიციაზე "იუვეს" მწვრთნელს ლივერპულელი **ხავიერ მასკერანოს** იმედი აქვს, მაგრამ ტრანსფერი პრობლემატურია. საქმე ის გახლავთ, რომ მასკერანო ეკუთვნის "ვესტ ჰემს", რომელიც ფეხბურთელის სატრანსფერის გამოსყიდვაში 17 მილიონ გირვანქას ითხოვს. ამ ოპერაციაში უპირატესი უფლება "ლივერპულის" ხელთაა. ახლა, სწორედ "ლივერპულსა" და "ვესტ ჰემს" შორის მიდის ურთიერთობის გარკვევა.



რაფაელ ვან დერ ვაარტი იუვენტუსში ითამაშებს

რანიერის კიდევ ერთ ლივერპულელზე აქვს თვალი დადგმული. საუბარია **მოჰამედ სისოკოზე**. სხვათა შორის, გასულ ზაფხულს "იუვენტუსი" სისოკოსაც უხმობდა. დღეს 22 წლის ფეხბურთელი აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა, როცა "ბებერი ქალბატონი" უარით გაისტუმრა. სისოკოს კონფლიქტი აქვს **რაფა ბენიტესთან**, რის გამოც სათამაშო პრაქტიკას მოკლებულია.

## მილანური დერბი ბერბატოვისთვის

"ტოტენჰემის" ბულგარელი ფორვარდი **დიმიტარ ბერბატოვი**, თურმე, მარტო "ბაიერნის" სამიზნე არ გახლავთ. "ტუტოსპორტის" ინფორმაციით, მისით "მილანი" და "ინტერიც" ყოფილან დაინტერესებულნი. მართალია, "უაით ჰართ ლეინზე" ბერბატოვს პრობლემები არ აქვს, მაგრამ ამ სეზონში გატანილი 17 გოლით (სხვადასხვა ფრონტზე) იტალიური გრანდების ყურადღებასაც იპყრობს. *"დიმიტარს სურს, საკუთარი პოტენციალის რეალიზება მოახდინოს და ტიტულები მოიგოს. მოვიდა დრო, როცა მან დიდ კლუბში უნდა სცადოს ძალები. აქ საქმე ფულში არ არის, ბერბატოვს სპორტული ამბიცია ამოძრავებს"* - უთხრა BBC-ის ფეხბურთელის აგენტმა **ემილ დანჩევმა**.

როგორც ჩანს, "მილანი" და "ინტერი" სწორედ ამ განცხადებას გამოეხმაურნენ. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, მათ უკვე შესთავაზეს წინადადებები ბერბატოვის იტალიელ აგენტ **რობერტო დე ფანტის**. ხსენებული გამოცემა იმასაც ამბობს, რომ ტრანსფერის განხორციელდება მხოლოდ ივნისშია შესაძლებელი და რომ მილანური გრანდები ყაბულს არიან, "ტოტენჰემის" მიერ მოთხოვნილი 18 მილიონი გირვანქაც გადაიხადონ.

## ტრავმები ინტერში

**რობერტო მანჩინი** დუბაიში ვოიაჟით კმაყოფილია. "ინტერმა" ფინალში პენალტებით (5:4, ძირითადი დრო 2:2) აჯობა "აიაქსს" და ოთხთა ტურნირის მთავარი ჯილდო მოიგო. მაგრამ გამარჯვების სიხარული მანჩინის **დავიდ სუასოს** ტრავმამ ჩაუშხამა. ჰონდურასელი სასტარტოში იყო, მაგრამ კუნთი დაეჭიმა და მოედანი ნაადრევად დატოვა. თავიდან, ტრავმა სერიოზული ეგონათ, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე. თუმცა, მანჩინის თქმით, ეს ის დაზიანებაა, რომელსაც გართულება მომავალში შეიძლება მოჰყვეს. "ინტერის" თავკაცის შეშფოთება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრავმირებულია კიდევ ერთი ფორვარდი **ერნან კრესპო**, პლუს ამას, მკურნალობენ **ლუიშ ფიგუ**, **ოლივიე დაკური**, **ვალტერ სამუელი** და **დეიან სტანკოვიჩიც**.

## ლაციო: პანდევს დავტოვებთ!

როგორც ვწერდით, "ლაციოს" ფორვარდ **გორან პანდევით** "ბაიერნი" იყო დაინტერესებული. გერმანულ გრანდს დღესაც არ აუღია ხელი მაკედონიელის გადაბირებაზე, თუმცა "ლაციალე" მაგრად დგას: კლუბის პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** პირობას დებს, რომ პანდევი გუნდში დარჩება. აი, მისი კომენტარიც, რომელიც "რადიო რომას" ეთერში გაკეთდა: *"შემიძლია დავადასტურო, რომ პანდევის გაყიდვაზე მოლაპარაკებები არ გვქონია. ესეც არ იყოს, პანდევის გასხვისება ჩვენს გეგმებში არ შედის და ვარწმუნებ გულშემატკივრებს, რომ ის კვლავ ჩვენთან ითამაშებს"*.

ამასობაში, თავად პანდევიც კომენტარიც გახმაურდა: *"ტრანსფერზე ჩემთან არავის ულაპარაკია. "ლაციოში" თავს მშვენივრად ვგრძნობ და წასვლას არ ვაპირებ"*.

## დი ნატალე: ზაფხულიდან რომაში?

**ანტონიო დი ნატალეს** აგენტი აცხადებს, რომ მისი კლიენტი ზაფხულიდან "რომას" მიაშურებს. ინფორმაცია სააგენტო "გოლმა" გამოაქვეყნა. მანამდე, ცნობილი იყო, რომ "ჯალოროსი" ნაკრებისა და "უდინეზეს" ფორვარდს ამ ზამთარსვე გადაიბირებდა, თუმცა:

*"უნდა დავადასტურო, რომ "რომას" მხრიდან ინტერესი ნამდვილად არის, თანაც სერიოზული ინტერესი. მაგრამ აქვე ვაცხადებ, რომ იანვარში დი ნატალე კლუბს არ გამოიცვლის. ისიცაა, რომ "უდინეზეს" მისი გაყიდვა არ უნდა. თუმცა ანტონიო 31 წლისაა და სურს, რომ კარიერის მიწურულს რომელიმე დიდ კლუბშიც მოსინჯოს ძალა"* - აცხადებს პატივცემული აგენტი.

მილანი

# დაანებეთ დიდას თავი!



დიდას მილანიდან აბარგება ემუქრება?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ნელსონ დიდა** "მილანს" დატოვებს. ბრაზილიელ მეკარესა და კლუბს შორის ურთიერთობა ოქტომბერში დაიძაბა, როცა "სელტიკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს, ტრავმის იმიტაცია გაითამაშა. "მილანი" საკუთარ რეპუტაციას თვალისჩინივით უფრთხილდება, ამიტომ, კლუბის რეაქცია მეტად მკაცრი იყო.

გარდა ხსენებული ეშმაკობისა, დიდას არც უშუალოდ თამაშებში გამოუჩენია თავი. პირიქით, მთელ რიგ მატჩებში მან მიუტევებელი შეცდომები დაუშვა, რაც **კარლო ანჩელოტის** გუნდს ძვირად დაუჯდა. ერთ-ერთი ბოლო ლაფსუსი იყო "ინტერთან" პრინციპულ მატჩში გაშვებული გოლი, რომელმაც მილანურ დერბიში გამარჯვება **რობერტო მანჩინის** გუნდს მოუტანა. "მილანის" თავკაცი დიდათი ახლაც უკმაყოფილოა. მოგეხსენებათ, "როსონერი" საწვრთნელ შეკრებაზე ბრძანდებოდა დუბაიში, სადაც ბრაზილიელმა კიპერმა, ორმხრივი მატჩის დროს, 6 გოლი გაუშვა **ალბერტო ჯილარდინოს**, **იოან გურკუფისა** და **კრისტიან ბროკისგან** (სამივემ დუბლი შეასრულა), და ეს მაშინ, როცა ახალგაზრდა მეკარე **დანიელ ოფრედი** მეორე მხარეს "მშრალად" იდგა.

ანჩელოტიმ შეგირდი სასტიკად გააკრიტიკა და ულტიმატუმიც წაუყენა. თანამემამულეს პირველი **მარკუშ კაფუ** გამოესარჩლა: *"დიდა ძლიერი პიროვნებაა. მას შეუძლია, დაძლიოს ყველა სირთულე და კვლავ პროგრესის გზით იაროს. ის ყოველთვის ბევრს შრომობს და დარწმუნებული ვარ, ერთ დღესაც მსოფლიოში პირველი მეკარე გახდება. შეცდომები? კი, მაგრამ, ვინ არის ამისგან დაზღვეული? ჩვენ ხომ ყველანი პერიოდულად ვცდებით ხოლმე. მე მინახავს ბევრი მეკარე, რომელსაც დიდაზე გაცილებით მეტი და უხეში შეცდომა დაუშვია"*.

დიდას სიტყვა **ალესანდრო ნესტამაც** შეაწია: *"დიახ, წავაგეთ "ინტერთან", მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ეს მხოლოდ დიდასთვის დაგვებრალებინა. ვარჯიშებზე ის ბევრს და დიდი ენთუზიაზმით შრომობს. ამასთან, დიდა კარგი მეგობარიცაა და ღირსია, რომ დავიცვათ პრესისა და ყველა სხვა სუბიექტის კრიტიკისგან. კარგი იქნება, თუ პირველ რიგში ამას კლუბი გააკეთებს"*.

ამასობაში, მატულობს სპეკულაციები დიდას სავარაუდო შემცვლელთა თაობაზე. როგორც ამბობენ, ანჩელოტის ფავორიტი "ფიორენტინის" მეკარე **სებასტიან ფრეია**. "მილანის" სპორტულმა დირექტორმა **არიედო ბრაიდამ** ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში შესთავაზა ფრანგ კიპერს "როსონერიში" გადასვლა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. სწორედ ამის შემდეგ, ფრეიმ "ფიორენტინასთან" ახალი კონტრაქტი (2010 წლამდე) გააფორმა.

საინტერესო ალტერნატივაა "სელტიკის" მეციხოვნე **არტურ ბორუცი**. შესანიშნავი პოლონელი მეკარე სხვა გრანდებსაც მოსწონთ. გლაზგოელებთან მას 2009 წლის ივლისამდე აკავშირებს ხელშეკრულება. არის საუბრები კიდევ ერთ ფრანგ კიპერზე - "პარი სენ ჟერმენში" მოთამაშე **მიკაელ ლანდროზე**. იმ ფონზე, როცა პარიზულ გრანდს პრემიერდივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება, ლანდროსთვის "მილანი" ნამდვილად ბრწყინვალე პერსპექტივაა. სხვა ინფორმაციით, ანჩელოტის სიაშია დიდას თანამემამულე, "ეინდჰოვენის" მეტად ძლიერი მეკარე **აურელიო გომეშიც**.

### რონალდო ჯანით და გოლით დაბრუნდა, პატო კი მზადაა, ინძაგი შეცვალოს

სხვა ამბები "მილანის" ბანაკიდან. **რონალდომ** ტრავმა მოირჩინა და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. შაბათს, ერთ-ერთ საწვრთნელ მატჩში მან გოლიც გაიტანა. რონალდოს 38-დღიანი პაუზა ჰქონდა. როგორც ჩანს, სამშობლოში გატარებულმა შვებულებამ მასზე პოზიტიურად იმოქმედა, შემდეგ კი "მილანს" დუბაიში გაჰყვა, სადაც გუნდთან ერთად ნაყოფიერად ივარჯიშა და მოემზადა.

*"ყველაფერი კარგად მიდის"*, - ჩვეული ღიმილით უთხრა მან ჟურნალისტებს. რაც შეეხება **კარლო ანჩელოტის**, მას ჯერ არ აქვს პასუხი იმაზე, შეძლებს თუ არა რონალდო მომავალ უიქენდზე "ნაპოლის" წინააღმდეგ თამაშს...

სამაგიეროდ, ამის შანსი გაუჩნდა **ალეშანდრე პატოს**, რომელსაც უკვე აქვს უფლება, "მილანის" მაისურით ოფიციალური მატჩი გამართოს. მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ვუნდერკინდი ზაფხულში იყიდეს, მაგრამ ასაკის (18) გამო, სერია A-ს კლუბთან კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ 2008 წლის 1 იანვრიდან შეეძლო. ცხადია, ანჩელოტიმ დუბაიში პატოც იახლა. "მილანის" თავკაცი ყმაწვილი შეგირდით აღფრთოვანებული დარჩა და დიდია შანსი, 13 იანვარს, "ნაპოლისთან" საშინაო მატჩში, ათამაშოს კიდეც. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, კარლეტოს სქემა ასეთი შეიძლება იყოს: **პატო-კაკა-ჯილარდინო**.

რატომ მაინცდამაინც პატო? იმიტომ, რომ **ფილიპო ინძაგი** თირკმელმა შეაწუხა. თავდაპირველად, ექიმებს ეგონათ, რომ პიპოს კენჭები ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სერიოზული არაფერია, თუმც მინიმუმ ერთკვირიანი დასვენება მაინც მოუწევს.



რონალდო მზადაა

ინგლისის ნაკრები

# კაპელო ირჩევს

## რეკომენდაცია დონ ფაბიოს: ნუ მოიწვევ არაინგლისელებს...


ფაბიო კაპელო

დღეს **ფაბიო კაპელო** ოფიციალურად შეუდგება ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას. იტალიელი დამრიგებელი ოთხ ასისტენტთან ერთად გადატვირთული გრაფიკით იმუშავებს. კაპელო ეწვევა პრემიერლიგის ყველა კლუბის საწვრთნელ ბაზას, პირადად გაიცნობს თითოეული გუნდის თავკაცს, დეტალურად გააანალიზებს ყოველი ტურის მინიმუმ ოთხ მატჩს და შეადგენს ახალგაზრდა და ვეტერანი ფეხბურთელების ინდივიდუალურ დოსიეებს. დონ ფაბიო პირველ შემადგენლობს 6 თებერვლის მატჩისათვის დაასახელებს. ამ დღეს "უემბლიზე" ინგლისი შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ეს კაპელოს სადებიუტო შეხვედრა იქნება. საფეხბურთო საქმეების გარდა, მწვრთნელმა უნდა გამონახოს დრო, რათა ლონდონის მახლობლად სახლი იყიდოს, და კიდევ, დღეში მინიმუმ ორი საათი ინგლისური ენის გაკვეთილს დაუთმოს. გეტყვით, რომ ის უკვე ინტენსიურად მეცადინეობს, რათა შეგირდებს პირველსავე შეკრებისას თარჯიმნის გარეშე ელაპარაკოს. კაპელოს მარჯვენა ხელი **ფრანკო ბალდინი** იქნება. ის დონ ფაბიოსთან ერთად მადრიდის "რეალში" მუშაობდა. თამაშებს ბალდინიც დაესწრება ხოლმე. იტალიელი სპეციალისტები ლიგის თასის ნახევარფინალებს ნახავენ. სამშაბათს მათ "ჩელსი"-"ევერტონის", ხოლო ოთხშაბათს "არსენალი"-"ტოტენჰემის" მატჩებზე ვიხილავთ.

კაპელო რევოლუციურ საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს. აღიარებული ლიდერები მის განაცხადში აუცილებლად მოხვდებიან. მწვრთნელი შეეცდება, ახალგაზრდებსაც მისცეს თავის გამოჩენის შანსი, აგრეთვე მეორე ეშელონის მოთამაშეები შეარჩიოს, რომლებსაც ლიდერთა ტრავმების შემთხვევაში გამოიძახებს. მიმომხილველების ვარაუდით, ნაკრებში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ "ასტონ ვილის" ნახევარმცველ **გაბრიელ აგბონლაორს**, "პორტსმუთის" მცველ **გლენ ჯონსონს**, აგრეთვე "მანჩესტერ სიტისა" და "ევერტონის" ნახევარმცველებს - **მაიკლ ჯონსონსა** და **ლეონ ოსმანს**. კაპელო ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **სტიუარტ პირსს** შეხვდება. ის პირსთან ნაყოფიერ თანამშრომლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დონ ფაბიოს ახალგაზრდების შერჩევაში მასზე უკეთ ვერავინ დაეხმარება. კაპელო ერთპიროვნულად გადაწყვეტს, გამოიძახოს თუ არა **დევიდ ბექჰემი**. ნაკრების ყოფილი კაპიტანი ინგლისში იმყოფება. ამერიკის ჩემპიონატის განახლებამდე ის "არსენალის" შემადგენლობაში ივარჯიშებს. კაპელო "მეთოფეების" თავკაც **არსენ ვენგერს** შეხვდება. ის სწორედ ვენგერისაგან მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას 32 წლის ნახევარმცველის შესახებ, რომელსაც რამდენიმე თვეა, ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია. ჟურნალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ოპტიმალურ ფორმაში არყოფნის მიუხედავად, კაპელო ბექჰს აუცილებლად უხმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 6 თებერვალს დევიდი ეროვნულ გუნდში მე-100 შეხვედრას გამართავს.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კაპელოს სამწვრთნელო შტაბს, რომელიც მთლიანად იტალიელებითაა დაკომპლექტებული. როგორც აღვნიშნეთ, დონ ფაბიოს ოთხი ასისტენტი ეყოლება. ფრანკო ბალდინის გარდა, ესენი არიან - მეორე ასისტენტი **იტალო გალბიატი**, ფიზმომზადების მწვრთნელი **მასიმო ნერი** და მეკარეთა მწვრთნელი **ფრანკო ტანკრედი**. ბალდინი ინგლისში იცხოვრებს და საფეხბურთო ასოციაციაში სამუშაო კაბინეტი ექნება. დანარჩენებს, შეუძლიათ, ძირითადი დრო სამშობლოში გაატარონ. ისინი ნისლიან ალბიონზე მხოლოდ სანაკრებო შეკრებებისას ჩავლენ. კაპელოს შემადგენლობის დაკომპლექტების საკითხი, რაღა თქმა უნდა, სრული თავისუფლება მიენიჭება. ის დელიკატურ პრობლემებსაც ერთპიროვნულად გადაწყვეტს, დელიკატურად მიაჩნიათ ნაკრების კაპიტნის საკითხი. დღესდღეობით, სამკლაური **ჯონ ტერის** უკეთია, თუმცა სპეკულაციების თანახმად, კაპელოს სურს, ის "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ **რიო ფერდინანდს** ჩააბაროს.

დონ ფაბიოს საქმეებში ცხვირსაც ვერავინ ჩაყოფს, მაგრამ ამავე დროს, მწვრთნელს ურჩევენ, თავი შეიკავოს არაინგლისელი ფეხბურთელების გამოძახებისაგან. უპირველეს ყოვლისა, "არსენალის" კარის დარაჯი **მანუელ ალმუნია** იგულისხმება. ალმუნია ლონდონური გრანდის ძირითადი გოლკიპერია. ერთი თვის წინ ის ინგლისის მოქალაქე გახდა. ალმუნია ესპანელია, მაგრამ ესპანეთის ნაკრების არასოდეს უთამაშია. მძაფრი კონკურენციის გამო, მას მშობლიურ ნაკრებში მოხვედრის მცირე შანსი აქვს. ესპანელთა თავკაც ლუის არაგონესს ალმუნიასთან დაკავშირებით კომენტარი ერთხელაც არ გაუკეთებია. ინგლისელებს კი კვალიფიციური გოლკიპერი სჭირდებათ. საკმარისია, ხორვატიასთან ბოლო შესარჩევი მატჩი გავიხსენოთ: ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა **სტივ მაკლარენმა** სუსტად მოთამაშე ტოტენჰემელი **პოლ რობინსონის** ნაცვლად, ევერტონელ **სკოტ კარსონს** უხმო. კარსონმა ორი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, რასაც ორი გოლი მოჰყვა. ინგლისმა წააგო (2:3) და ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩა. ალმუნიაზე კაპელოსაც არაფერი უთქვამს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მისი ნატურალიზაციის შანსი მინიმალურია. კაპელო უფრო ახალგაზრდა გოლკიპერებზე გააკეთებს აქცენტს. მაგალითად, ის "ვესტ ჰემის" კარის დარაჯ **რობერტ გრინს** დააკვირდება. გრინი საუცხოო სეზონს ატარებს. დონ ფაბიო "ვესტ ჰემის" კიდევ ერთ ახალგაზრდა ვარსკვლავს, თავდამსხმელ **დინ ეშტონს** მიადევნებს თვალს. ის ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

ჩელსი. ტრანსფერები

# ტრავმები უკან იხევს

## ჩეხი, კუდიჩინი ბრუნდებიან, დროგბამ ითამაშა, ლონდონელები ახალგაზრდებს უმიზნებენ...

ხვალ ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალური მატჩი გაიმართება. "ჩელსი" "ევერტონს" უმასპინძლებს. ლონდონელებს ორი გოლკიპერი გამოუჯანმრთელდათ. **პეტრ ჩეხმა** ბარძაყის კუნთი მოიშუშა, ხოლო **კარლო კუდიჩინიმ** დაჟეჟილი გვერდი. ისინი მინდორზე გასასვლელად მზად არიან. პირველი და მეორე მეკარეების ტრავმების გამო, ბოლო სამ შეხვედრაში "არისტოკრატების" კარს **ენრიკე ილარიო** იცავდა. ლონდონელებს კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდათ. **დიდიე დროგბა** მუხლის ტრავმისაგან ბოლომდე განიკურნა და შაბათს "ქუინზ პარკ რეინჯერსთან" ასოციაციის თასის მესამე რაუნდის მატჩში ითამაშა. ავრამ გრანტმა ის ექიმებთან მოთათბირების შემდეგ გაიყვანა მინდორზე. აქვე გეტყვით, რომ გუშინ კოტდივუარის ნაკრებმა აფრიკის თასისათვის შემადგენლობა დაასახელა. დროგბა, რა თქმა უნდა, განაცხადშია. ასე რომ გამოჯანმრთელების მიუხედავად, "ჩელსის" მისი იმედი არ უნდა ჰქონდეს. შავი კონტინენტის პირველობის გამო დიდიე ლონდონელებს თითქმის ერთი თვით გამოაკლდება.

"არისტოკრატებმა" მოსკოვის "ლოკომოტივის" სერბი მცველი **ბრანისლავ ივანოვიჩი** შეიძინეს. მათ რუსული კლუბის კიდევ ერთი ვარსკვლავი **დინიარ ბილიალეტდინოვი** სურთ. ეს უკანასკნელი იჯარით ლისაბონის "სპორტინგში" ასპარეზობს. "თაიმსის" ცნობით, ლონდონელებს 22 წლის რუსი ნახევარმცველი 28 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

და კიდევ ერთი ინფორმაცია "ჩელსის" ბანაკიდან. "არისტოკრატები" იმ კლუბების რიცხვს შეუერთდნენ, რომელთაც ბარსელონელი "ვუნდერკინდის", **ჯოვანი დოს სანტოსის** შეძენა სურთ. 18 წლის მექსიკელს "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ტოტენჰემშიც" ეპატიჟებიან. კატალონიელები კი კომპენსაციის სახით, 20 მილიონ გირვანქას ითხოვენ. "დეილი მეილის" ცნობით, პირველ ეტაპზე 10 მილიონის გადახდაც საკმარისი იქნება. თანხის მეორე ნაწილი დამოკიდებულია ჯოვანის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობაზე, აგრეთვე ტიტულებზე, რომელთაც ლონდონელები დოს სანტოსთან ერთად მოიპოვებენ.


დიდიე დროგბა ქუინზ პარკთან შაბათის მატჩისას

ლივერპული. ტრანსფერები

# ბენიტესს მოურინიო შეცვლის?

## რაფას და ჟოზე მიუნხენის ბაიერნიც ეპატიჟება...


რაფა ბენიტესის ლივერპულური მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას

**რაფა ბენიტესის** პოზიცია შერყეულია. "ლივერპული" ფაქტობრივად გამოეთიშა საჩემპიონო მარათონს. თუ ის ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდება, ესპანელ მწვრთნელს კარისკენ მიუთითებენ. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" ავრცელებს. პოპულარულ ტაბლოიდს ბენიტესთან დაახლოებული პირის სიტყვები მოჰყავს: *"ერთი თვის წინ, როცა რაფა კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა, ახალ კონტრაქტზე არ უსაუბრიათ. მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ. იანვრის ტრანსფერებისას მას მცირე თანხას გამოუყოფენ. "ლივერპულს" ცენტრალური მცველი სჭირდება. ამას გარდა, ხავიერ მასკერანოს საკითხიც გასარკვევია. მასკერანო ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს. ის ბენიტესის გადაწყვეტილებას ელოდება. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკელი ინვესტორები რაფას არ ენდობიან. მათ მწვრთნელის მიმართ მხარდაჭერა ერთხელაც კი არ დაუფიქსირებიათ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ახლო მომავალში "ლივერპულში" ახალი დამრიგების მისვლა საკმაოდ რეალურია."*

სპეკულაციების თანახმად, ბენიტესი შეიძლება მიუნხენის "ბაიერნში" დაინიშნოს. "ლივერპულში" კი **ჟოზე მოურინიოს** მისვლას ელოდებიან, დიახ, დიახ, ბენიტესის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგის მისვლას. ეს სენსაციური ინფორმაცია გუშინდელ "გარდიანში" ამოვიკითხეთ. ტაბლოიდი ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გვაუწყებს, რომ მოურინიო სიამოვნებით იმუშავებდა "ლივერპულში", რადგან მას ინგლისური ფეხბურთი უყვარს. მაგრამ ჟოზეს ოჯახს ინგლისში დაბრუნებას აღარ სურსო, წერს "გარდიანი". იქვე კიდევ ერთი საინტერესო კომენტარს წავაწყდით. "გარდიანმა" გამოაქვეყნა ფრაგმენტი **ფრანც ბეკენბაუერის** ინტერვიუდან, რომელიც გაზეთ "ბილდში" გამოქვეყნდა. კითხვაზე, შეიძლება თუ არა "ბაიერნში" ჟოზე მოურინიო ვიხილოთ, ბავარიელთა პრეზიდენტი პასუხობს: *"რატომაც არა? ზაფხულამდე დიდი დროა. ვფიქრობ, ის ამ ექვსი თვის განმავლობაში უპრობლემოდ დაეუფლება გერმანულს."*

ჟოზე კაიზერის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს - გამოცდილია, აგრეთვე წარმატებული და საქვეყნოდ აღიარებული, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: გერმანული არ იცის. ბეკენბაუერს კი ვერ წარმოუდგენია, "ბაიერნის" მწვრთნელად ისეთი სპეციალისტი, რომელსაც ფეხბურთელებთან სასაუბროდ თარჯიმანი სჭირდება. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოურინიოს "ლივერპულში" უფრო მეტი შანსი აქვს, მაგრამ ძალაუნებურად გვახსენდება სახელგანთქმული **ჯოვანი ტრაპატონი**, რომელიც "ბაიერნში" ორჯერ მუშაობდა და გერმანულად ძალიან სასაცილოდ მეტყველებდა. იმაზეც ვერაფერს მოგახსენებთ, ლაპარაკობს თუ არა გერმანულს ბენიტესი.

დავუბრუნდეთ "ლივერპულის" ამბებს. კლუბს მწვრთნელის საკითხის გარდა, კიდევ რამდენიმე საკადრო პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. ზემოთ მასკერანო ვახსენეთ. ბენიტესს მისი შენარჩუნება სურს. ხავიერის სატრანსფერო უფლებების შესაძენად 17 მილიონი გირვანქაა საჭირო. ისიც აღვნიშნეთ, რომ მწვრთნელი ბევრს ფულს ვერ დახარჯავს. გამოსავალი რომელიმე ვარსკვლავის გაყიდვაა. "დეილი მირორის" ცნობით, სენიორ რაფა თანახმაა, მასკერანოს გულისათვის **ჩაბი ალონსოც** კი დათმოს. ალონსოს "ბარსელონა", "რეალი" და "ატლეტიკო" ეპატიჟებიან. ესპანური გრანდების ინტერესი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელის სარფიანად გაყიდვა გარანტირებულია. თუ მასკერანოს "ლივერპულიდან" აბარგება მაინც მოუწევს, უმუშევრად დარჩენა არ დაემუქრება. მას "მანჩესტერ სიტი", "ბარსელონა" და "იუვენტუსი" ეპატიჟებიან. მოსალოდნელ ხმაურიან ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

დასასრულს, იმასაც გეტყვით, რომ "ლივერპულმა" პეტერბურგის "ზენიტისა" და ჩეხეთის ნაკრების მცველი მარტინ შკრტელი მოიკითხა. "გარდიანის" ცნობით, მერსისაიდელები მზად არიან, ფეხბურთელში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



2004 წლის ზაფხული. ჰიონესი და ფინკე ბაიერნისა და ფრაიბურგის ამხანაგური მატჩის დროს...

ბაიერნი

# ჰიონესი და ფინკე, რა ხდება?

## ფოლკერი ულისა და ბრაიტნერის ფავორიტია!

წინა კვირაში შემოგთავაზეთ ინტერვიუ **ოტმარ ჰიტცფელდთან**, სადაც ის უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ორი თვის წინათ მომხდარი ფაქტი (საუბარია იმაზე, რომ „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ოტმარი გააკრიტიკა) გერმანულ პრესაში დღესაც აქტუალური თემაა. ჩვენი გერმანელი კოლეგები და საერთოდ, მთელი საფეხბურთო გერმანია დღესაც ბჭობს იმაზე, თუ რატომ მოიქცა რუმენიგე ასე. ეს ფაქტობრივად ჰიტცფელდის დეგრადირება გახლდათ. „ბილდის" ვერსიით, ამის მიზეზი ის არის, რაც ჰიტცფელდმა მანამდე თქვა. და რა თქვა ოტმარმა? იმ დროს, როცა გარკვეული იყო, რომ „გენერალი" ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებებს იანვარში დაიწყებდა, ჰიტცფელდმა განაცხადა, „ბაიერნთან" ერთად შვეიცარიის ნაკრებსაც არანაკლები შანსი აქვს, რომ გადამიბიროსო. როგორც ჩანს, რეკორდმაისტერის შეფები ამ განცხადებამ გააბრაზა. **ჰიონესს** და რუმენიგეს იმედი ჰქონდათ, რომ ჰიტცფელდი „ბაიერნთან" კონტრაქტს გააგრძელებდა და რაკი ოტმარმა ზემოთ ხსენებული განცხადებით ფრონტის ახალი ხაზი გახსნა, ამით საკუთარი თავის დეგრადირებას ჩაუყარა საფუძველი. რუმენიგეს სიტყვები (ფეხბურთი არ არის მათემატიკა) სხვა არაფერი იყო, თუ არა ჰიტცფელდიც დემონტაჟი.

ამ თემაზე დიდხანს აღარ შევჩერდებით, მით უმეტეს, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, თუ ვინ შეცვლის „გენერალს". ამ მხრივ კი, დღე არ გავა, რომ ახალი ინფორმაცია არ გავრცელდეს. მას მერე, რაც სეზონის ბოლოს ჰიტცფელდის წასვლა დაადასტურა, ჰიონესი ახალი მწვრთნელის ძებნას შეუდგა. სავარაუდო კანდიდატებზე უკვე ძალიან ბევრი დაიწერა და უნდა ითქვას, რომ კანდიდატების ნაკლებობა ნამდვილად არ შეინიშნება, მაგრამ სიაში ისეთი კაციც გამოჩნდა, რომელსაც აქამდე სათვალავში არავინ აგდებდა: **ფოლკერ ფინკე** – 59 წლის სპეციალისტი, რომელიც 2007 წლის ზაფხულამდე (1991 წლიდან) „ფრაიბურგში" მუშაობდა. მაინც რამდენად რეალურია ფინკეს კანდიდატურა? „ბილდის" ინფორმაციით, ჰიონესმა ფოლკერთან პირველი მოლაპარაკებები უკვე გამართა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ფინკე ერთხელ უკვე იყო „ბაიერნის" მწვრთნელობის კანდიდატი. ეს 2004 წელს იყო, როცა ჰიტცფელდის გათავისუფლება გადაწყდა, მაგრამ მიუნხენური კლუბის შეფებმა მაშინ ფინკეს **ფელიქს მაგათი** ამჯობინეს. აღსანიშნავია, რომ მას მერე ფინკესა და ჰიონესს საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვთ – ერთმანეთს ხშირად უკავშირდებიან და აზრებს უზიარებენ. ანუ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰიონესი ფინკეზე ძალიან კარგი აზრისაა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ბაიერნის" პირველი მრჩეველი **პაულ ბრაიტნერი** ფინკეს დიდი ქომაგია. ეს უკანასკნელი ჰიონესსა და რუმენიგეს რჩევებს ხშირად აძლევს, ხოლო სანამ „ბაიერნის" მრჩეველი გახდებოდა, „ბილდის" კოლუმნისტი გახლდათ და თავის სტატიებში ფინკეს ხშირად აქებდა. მეტიც, ბრაიტნერი პირველი კაცი იყო, რომელმაც დაწერა, ფინკე გერმანიის ნაკრების მწვრთნელის პოსტს იმსახურებსო. აი, რას წერდა პაული ფოლკერის შესახებ 2003 წელს: *„გერმანიაში ლამაზი და ეფექტური ფეხბურთისთვის ორდენი რომ არსებობდეს, მას პირველ რიგში ფინკე მიიღებდა!"* 2001 წელს კი, მწვრთნელების ჰიტპარადში ბრაიტნერმა ფინკე მეორე ადგილზე გაიყვანა (პირველზე, რა თქმა უნდა, ჰიტცფელდი იყო).

ფოლკერის კიდევ ერთი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ის რამდენიმე ენაზე საუბრობს და ამრიგად, **ფრანკ რიბერისთან** ან **ლუკა ტონისთან** კონტაქტის დამყარება არ გაუჭირდება. ხოლო ფინკეს ნაკლი კი ის არის, რომ მას არასდროს უმუშავია დიდ გუნდებში და არასდროს გაუწვრთნია ვარსკვლავები. უცნობია ისიც, არის თუ არა ფინკე მზად მუშაობის დასაწყებად. „ფრაიბურგიდან" წასვლის შემდეგ ის თავისუფლებით ტკბება და ისვენებს. ბოლო დროს ფინკემ არაერთ შეთავაზებაზე თქვა უარი – სთავაზობდნენ როგორც კლუბის, ასევე ნაკრები გუნდების მწვრთნელობას. დღესდღეობით ის ერთ-ერთ შვეიცარიულ ტელეკომპანიაში ექსპერტად მუშაობს და გადაწყვეტილია, რომ ევროპის ჩემპიონატის დროს ტელეკომენტატორი იქნება.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, „ბაიერნის" შეფებს ე.წ. გეგმა B-ც აქვთ, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ მწვრთნელი არა, ფინკე რეკორდმაისტერის შეფ-სკაუტი უნდა გახდეს. ამ მხრივ ფოლკერის პლუსი ის არის, რომ ის ძალიან კარგად იცნობს აღმოსავლეთ ევროპას (მათ შორის, საქართველოს) და აფრიკას. „ფრაიბურგში" მას ქართული კოალიცია ჰყავდა და მუდმივად ყიდულობდა აფრიკელ ფეხბურთელებს (ძალიან იაფად), რომლებიც იმედებს არ უცრუებდნენ. ანუ, ფინკეს გუმანი იშვიათად ატყუებს.

„ბილდის" ცნობით, ფინკესთან ერთად კანდიდატებს შორის რჩება **ლოთარ მათეუსიც**. ხსენებული გაზეთი გვამცნობს, რომ დიდი შანსი იყო, შარშან მაგათის შემცვლელი სწორედ ლოთარი გამხდარიყო. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ოტმარი „ბაიერნის" გაწვრთნაზე უარს იტყოდა. ამასობაში, „ველტმა" **შტეფან ეფენბერგის** ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ეს უკანასკნელი „შტუტგარტის" თავკაც **არმინ ფეეს** უწევს რეკომენდაციას. თუმცა ამ უკანასკნელმა განაცხადა, „ბაიერნზე" არაფერს ვიტყვი, რადგან „შტუტგარტთან" კონტრაქტი 2009 წლამდე მაკავშირებსო. მაგრამ ფეე არ მალავს, რომ ძალიან უნდა ისეთ გუნდში მუშაობა, სადაც ტიტულების მოგების უფრო დიდი შანსი ექნება. გასულ სეზონში მან „შტუტგარტი" კი გააჩემპიონა, მაგრამ შანსი იმისა, რომ წელს ტიტული შეინარჩუნოს, თითქმის ნულის ტოლია.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ თომას შააფთან

# ბაიერნი არ მაინტერესებს, მხოლოდ ვერდერზე ვფიქრობ!

## მუსიკოსთა დამრიგებლის აზრით, მწვრთნელმა ფეხბურთელების კონტრაქტების დეტალები არ უნდა იცოდეს...



თომას შააფს 2004 წლის მიღწევის (გერმანიის ჩემპიონობა და თასი) გამეორება სურს

**ბუნდესლიგის** მეორე წრისთვის მზადებას ბრემენის „ვერდერიც" შეუდგა. „მუსიკოსების" მთავარმა მწვრთნელმა თომას შააფმა შობა-ახალი წელი ავსტრიაში გაატარა – თხილამურებით ბევრი ისრიალა და კარგად დაისვენა. ბრემენელებმა ვარჯიში ხუთშაბათს განაახლეს. დღეიდან „ვერდერი" თურქულ შეკრებაზე მიემგზავრება. გამგზავრებამდე შააფს „ბილდი" გაესაუბრა.

**- ჰერ შააფ, თქვენ ალბათ კმაყოფილებისგან ხელებს იფშვნეტთ, რადგან „ბაიერნში", რომელიც სეზონის დაწყებამდე მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ისევ ქაოსი და გაურკვევლობაა...**

- ეს არ არის ცალსახა მოსაზრება, „ბაიერნში" შექმნილ ვითარებას, ვისაც როგორ უნდა, ისე ხედავს. განა გამორიცხულია, რომ ამ კრიზისმა გუნდი კიდევ უფრო გააძლიეროს და მოტივაცია გაუზარდოს? ასე რომ, წინასწარ ვერც კმაყოფილი ვიქნები და ვერც უკმაყოფილო – ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**- იმის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ ამ დისკუსიებმა „ბაიერნს" უფრო ავნო, ვიდრე პირიქით...**

- რა თქმა უნდა, შეგვიძლია, რომ მომხდარს ასეთი ინტერპრეტაციაც მივცეთ. მაგრამ მე მიუნხენისგან 700 კილომეტრის მოშორებით ვცხოვრობ. შესაბამისად, არ ვიცი, ზუსტად რა და როგორ ხდება რეკორდმაისტერში. ის, რაც პრესაში იწერება, სინამდვილის მხოლოდ 5-10 პროცენტს ასახავს. და საერთოდ, სიმართლე რომ გითხრათ, „ბაიერნზე" ფიქრის არც სურვილი მაქვს და არც დრო. მე, როგორც „ვერდერის" მთავარ მწვრთნელს ჩემი საზრუნავი გამაჩნია.

**- მაგრამ „ბაიერნს" აშკარად ცუდად წაუვიდა საქმეები...**

- იცით, ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგადაა. მე აქ 25-26 ფეხბურთელთან ერთად ვმუშაობ და მინდა გითხრათ, რომ თითოეული მათგანი ძალიან მონდომებულია. ერთი სიტყვით, საქმე ისედაც ძალიან ბევრი მაქვს და სხვა გუნდებზე ფიქრის დრო აღარ მრჩება. შესაბამისად, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ მიდის საქმეები სხვა გუნდებში, მათ შორის, „ბაიერნში". მოკლედ, მე მხოლოდ „ვერდერზე" ვარ კონცენტრირებული.

**- თუ წარმოგიდგენიათ ის, რომ ერთხელაც „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდებით?**

- დამიჯერეთ, ამაზე არასდროს მიფიქრია. ეს არ არის ჩემი სტილი. „ბაიერნის" ან რომელიმე სხვა გუნდის მწვრთნელობაზე ფიქრს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიწყებ, თუ კონკრეტული შემოთავაზება იარსებებს.

**- ცოტა არ იყოს, რთული დასაჯერებელია ის, რომ გერმანელ სპეციალისტს „ბაიერნის" გაწვრთნაზე არ უფიქრია...**

- ჰო, შესაძლოა რთული დასაჯერებელია, მაგრამ ასეა. ჩემთვის მთავარი აწმყოა. სხვა დანარჩენი კი, სანამ კონკრეტული წინადადება არ იარსებებს, მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. ასეთია ჩემი ცხოვრება, ასეთი ვარ მეც. წინასწარ არასდროს მაქვს განსაზღვრული, თუ რას გავაკეთებ უახლოესი 5 წლის განმავლობაში.

**- რამდენ წინადადებაზე თქვით უარი ბოლო 5 წლის განმავლობაში?**

- შემოთავაზებები მართლაც იყო და თანაც ძალიან ბევრი, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მოლაპარაკებები არავისთან მიწარმოებია. ჩემთვის ეს მიუღებელია მანამდე, სანამ რომელიმე გუნდში კონტრაქტი მაქვს.

**- ტორსტენ ფრინგსმა თქვა, ეჭვი არ მეპარება, რომ წელს გერმანიის ჩემპიონი „ვერდერი" გახდებაო...**

- და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ფეხბურთელი ასეთი თავდაჯერებულია და დასახული მიზნის მიღწევაში ეჭვი არ ეპარება. რა აზრი აქვს ლამაზი ფეხბურთის ჩვენებას, თუკი საბოლოოდ შედეგს არ მიაღწევ? იმედია, ყველა დამეთანხმება, რომ გერმანიაში ყველაზე თვალსასეირო ფეხბურთს ვთამაშობთ, მაგრამ უმთავრესი მაინც შედეგია და ჩვენს პირველ რიგში შედეგისთვის ვიბრძვით.

**- 2004 წელს „ვერდერმა" დუბლი შეასრულა და მას მერე აღარაფერი მოუგია...**

- ...და ძალიან კარგი იქნება, წელს ისევ რომ მოვიგოთ რომელიმე ტიტული. უდიდესი სიამოვნებით ავიტაცებ რომელიმე თასს. ჯერ-ჯერობით სამ ტურნირზე ვართ, ბუნდესლიგის მოგებაც გვინდა, გერმანიის თასისაც და უეფას თასისაც.

**- ზამთრის არდადეგებზე კლაუს ალოფსთან სამომავლო გეგმებზე ბევრი იმსჯელეთ?**

- რა თქმა უნდა, ჩვენ თითქმის ყოველდღე ვუკავშირდებოდით ერთმანეთს.

**- თქვენ ალბათ გაიგეთ, რომ პრესაში არაერთხელ დაიწერა, დიდი შანსია, კლაუს ალოფსი „ბაიერნში" გადავიდესო...**

- ამ საკითხზე მასთან არ მისაუბრია.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ ვიცი: კლაუსი „ვერდერში" თავს ძალიან კარგად გრძნობს. დარწმუნებული ვარ, ასეთ რამეს რომ გეგმავდეს, აუცილებლად მეტყოდა. ალოფსი ყოველთვის გულახდილია.

**- არის თუ არა დამთხვევა ის, რომ თქვენი და ალოფსის კონტრაქტებს ვადა ერთდროულად ეწურება?**

- არ ვიცი, ალბათ დამთხვევაა. ყოველ შემთხვევაში, ამაში მე განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

**- ფეხბურთელებთან მოლაპარაკებებში თქვენც მონაწილეობთ?**

- მოთამაშეებთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ, ეს კლაუსის საქმეა. მაგრამ მე ყოველთვის ვიცი, როგორ მიდის მოლაპარაკება ამა თუ იმ ფეხბურთელთან. თუმცა მე არასდროს ვიცი, რამდენი მოითხოვა ამა თუ იმ ფეხბურთელმა. ეს არცაა ჩემი საქმე.

**- რატომ, განა მწვრთნელმა არ იცოდეს, თუ რამდენს ითხოვს მისი ფეხბურთელი?**

- არა, მწვრთნელმა ეს არ უნდა იცოდეს და აგიხსნით, რატომაც. როცა მწვრთნელი ყველა კონტრაქტის დეტალებზე ინფორმირებულია, მაშინ უკვე სხვანაირად ფიქრობს. მაგალითად, როცა რომელიმე ფეხბურთელის მოედანზე შეყვანა უნდა და იცის, რომ ამდენი და ამდენი თამაშის დაგროვების შემთხვევაში იმ ფეხბურთელს კონტრაქტი ავტომატურად გაუგრძელდება, მაშინ მწვრთნელი გარკვეული ზეწოლის ქვეშ მოექცევა. მერე შეიძლება თქვან, ამას განგებ აკეთებსო და ა.შ. არა, ასეთი წნეხი ნამდვილად არ მჭირდება.

**- ანუ, თქვენ არ იცით, ვის რამდენი ხელფასი აქვს თქვენს გუნდში?**

- არა, არ ვიცი! დაახლოებით წარმომიდგენია, ვის რამდენს უხდიან, მაგრამ ზუსტი ციფრები არ ვიცი და არც მაინტერესებს. მთავარია, საკუთარი ხელშეკრულების დეტალები ვიცოდე.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე. ტრანსფერები

# ზე რობერტო II გელზენკირხენშია

## სამაგიეროდ, შალკე დარიო როდრიგესმა დატოვა...

„შალკეს" გენერალურ მენეჯერ **ანდრეას მიულერს** ძალიან გაუკვირდა ის, რომ გუშინწინ **მარსელო ბორდონთან** ერთად გელზენკირხენში **ზე რობერტო II**-ც ჩაფრინდა. ამ უკანასკნელის ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი კი იყო, მაგრამ გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები 27 წლის ბრაზილიელს ჯერ მაინც არ ელოდნენ. ახლა კი უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზე რობერტო II სრულფასოვანი შალკელია - მის კონტრაქტს ვადა 2011 წლამდე ექნება. ბრაზილიელმა **ლევან კობიაშვილის** გუნდში უკვე ივარჯიშა და არ დამალა, რომ ძალიან გაუკვირდა, ვარჯიშზე მის სანახავად 3 000-მდე ფანი რომ მივიდა.

„შალკეში" გუშინ კიდევ ერთ ახალწვეულს ელოდნენ. საუბარია ურუგვაელ თავდამსხმელ **ვისენტე სანჩესზე**, მაგრამ ეს უკანასკნელი „აუფ შალკეზე" არ გამოჩენილა. *„ჩვენ მისი ყიდვა ძალიან გვინდა, მაგრამ პროცესი გაიწელა. უშუალოდ ფეხბურთელს უკვე შევუთანხმდით და ახლა კლუბთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. თუ კლუბი გამოუშვებს, სანჩესი ამ დღეებში შემოგვიერთდება,"* – აცხადებს მიულერი.

გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები ძალიან ნერვიულობენ ახალგაზრდა **მესუთ იოზილის** გამო, რომელმაც დეკემბრის მიწურულს მათ ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა. 19 წლის იოზილმა ამით ყველა გააკვირვა, რადგან „შალკემ" მას ძალიან მაღალი ხელფასი (1.5 მილიონი) შესთავაზა. მეტიც , გერმანულ საფეხბურთო წრეებში არაერთმა პიროვნებამ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი ასეთ მაღალ ანაზღაურებაზე უარს ამბობს. *„მესუთს უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ დაველაპარაკებით და ყველაფერს გავარკვევთ. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, უნდა თუ არა მას „შალკეში" დარჩენა,"* – ამბობს მენეჯერი. თუკი შეთანხმება მიღწეული არ იქნება, ზაფხულში იოზილი „შალკეს" დატოვებს.



ზე რობერტო II და მარსელო ბორდონი ვარჯიშის დროს

გუშინწინდელი დღიდან კობიაშვილის გუნდი უკვე დატოვა ურუგვაელმა მცველმა **დარიო როდრიგესმა**. 33 წლის უკანახაზელმა, რომელსაც კონტრაქტი ზაფხულამდე ჰქონდა, ხელშეკრულების ნაადრევად გაწყვეტა მოითხოვა, რაზეც ბოსები დათანხმდნენ. როდრიგესმა „შალკე" უკვე დატოვა.

ტრანსფერი

# იან კოლერი ნიურნბერგს დარჩა

## ფრანკები აჴლაჴუდა ჩეხში 1 მილიონს გადაიხდიან

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრანსფერი ბუნდესლიგის ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ჯერ-ჯერობით ყველაზე ხმაურიანია. ჩეხი თავდამსხმელი **იან კოლერი** (სიმაღლე: 2.02 მეტრი, ფეხის ზომა: 52) გერმანიაში ბრუნდება! 34 წლის თავდამსხმელი გერმანიის პირველობის მეორე წრიდან „ნიურნბერგს" დაეხმარება. ფრანკებმა უკვე გაინაღდეს კოლერის გადაბირება, მას კონტრაქტს 2010 წლამდე გაუფორმებენ, სანაცვლოდ კი, კოლერის ყოფილ გუნდ მონაკოს 1 მილიონ ევროს გადაუხდიან.

ტრანსფერის შესახებ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ჯერ „მონაკოს" მწვრთნელისგან შეიტყვეს, მერე კი „ნიურნბერგის" ბოსებისგან. კოლერის გადაბირება „ნიურნბერგის" მთავარი მწვრთნელის, **ჰანს მაიერის** დაჟინებული მოთხოვნა ყოფილა. კოლერმა გუშინ თავის ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა. შეგახსენებთ, რომ იანი 2001-დან 2006 წლამდე დორტმუნდის „ბორუსიის" ღირსებას იცავდა და BVB-ს მაისურით 137 თამაშში 59 გოლი გაიტანა, 2002 წელს კი, „დორტმუნდთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობა იზეიმა. ამავდროულად ის ჩეხეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია: 50 გოლი 81 თამაშში.



პატრიკ ჰელმესი ფარმაცევტი გახდება

ტრანსფერი

# ჰელმესი ლევერკუზენში გადავა

## ახალი პოდოლსკი კიოლნს ზაფხულში დატოვებს...

ის, რაც აქამდე სპეკულაციების საგანი იყო, ახლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია: „ლევერკუზენის" გენერალურმა მენეჯერმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა** განაცხადა, რომ მან კიდევ ერთი სერიოზული ტრანსფერი სრულყო. „კიოლნისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი** მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „ლევერკუზენის" ფეხბურთელი გახდება. ჰოლცჰოიზერის თქმით, ტრანსფერი 100 პროცენტით გადაწყვეტილია და უახლოეს დღეებში კონტრაქტიც გაფორმდება.

„ბაიერი" „კიოლნთან" მოლაპარაკებებს დიდი ხნის მანძილზე აწარმოებდა და როგორც იქნა, მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიეს. ჰელმესს, რომელსაც მეორე ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 6 გოლი აქვს გატანილი, „ლევერკუზენში" გადასვლა ახლავე სურდა, მაგრამ „კიოლნის" შეფებმა არ გაუშვეს. გარდა ჰელმესისა, „ლევერკუზენი" კიდევ ორი ფეხბურთელისთვის იბრძვის. ერთ-ერთი მათგანი „ფრაიბურგის" მოთამაშე **დანიელ შვააბია**, რომელთანაც „ფარმაცევტებმა" კონტაქტი უკვე დაამყარეს.

აინტრახტი

# ფრანკფურტელთა ახალი ვარსკვლავი

## აინტრახტმა იუვენტუსს ფენინი ხელიდან გამოსტაცა...

დეკემბრის მიწურულს ფრანკფურტის „აინტრახტმა" ხმაურიანი ტრანსფერი სრულყო. ფრანკფურტელებმა 20 წლის ჩეხი თავდამსხმელი **მარტინ ფენინი** გადაიბირეს. ფეხბურთელში, რომლისთვისაც ტურინის „იუვენტუსი" და სხვა ევროპული გრანდები იბრძოდნენ, „აინტრახტმა" დაახლოებით 3.5 მილიონი ევრო გადაიხადეს.

*„თანხა საკმაოდ დიდია, მაგრამ ფენინი შესანიშნავი ფეხბურთელია. ჩვენ ახლა ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ის ზეწოლის ქვეშ არ მოექცეს. მას უნდა მივცეთ დრო იმისათვის, რომ ბუნდესლიგას შეეგუოს, აკლიმატიზაცია შეძლოს და მასზე გაცემული ავანსები გაამართლოს,"* – ეს „აინტრახტის" მთავარი მწვრთნელის, **ფრიდჰელმ ფუნკელის** სიტყვებია.

*„ვფიქრობ, რომ „აინტრახტი" ჩემთვის ამ ეტაპზე იდეალური გუნდია. მინდა, რომ ამ კლუბში თამაშით ჩეხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ კარელ ბრიუკნერს დავუმტკიცო, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშს ვიმსახურებ,"* – ამბობს ფენინი, რომელმაც „აინტრახტს" თავისი ბედი 2012 წლამდე დაუკავშირა.

ფრანკფურტელები ფენინს 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე დააკვირდნენ და რაკი ძალიან მოეწონათ, გადაწყვიტეს, მასში იმდენივე გადაეხადათ, რამდენიც 1999 წელს **ბაშირუ სალუში** გადაიხადეს (3.6 მილიონი). ფენინის თქმით, მისი ადგილი თავდასხმაშია, თუმცა ცნობილია, რომ მას ფლანგზეც შეუძლია თამაში და „ტეპლიცეში" ხშირად სწორედ ამ პოზიციაზე ათამაშებდნენ. ჩეხეთის ჩემპიონატის პირველ წრეში მან 16-ივე თამაშში მიიღო მონაწილეობა (15 მატჩში ძირითად შემადგენლობაში იყო) და ბომბარდირთა დავაში 7 გოლით მესამე ადგილზეა.

ინტერვიუ არიენ რობენთან

# რეალის ქომაგების განრისხებაზე საშინელი არაფერია

## ნანატრი და დაგვიანებული პირველი გოლი

**სამეფო კლუბის ჰოლანდიელმა ვარსკვლამა, არიენ რობენმა ხელშეკრულება გასული წლის ზაფხულში გააფორმა. მის ტრანსფერს უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ და იმედი გამოთქვეს, რომ რობენი ახალი "რეალის" მშენებლობაში განსაკუთრებულ როლს ითამაშებდა. ცხოვრებამ გამოააშკარავა, რომ არიენისთვის მადრიდული კარიერის დალაგება ნავარაუდევზე გაცილებით რთული ყოფილა. ჰოლანდიელმა სამეფო კლუბის მაისურით პირველი გოლი მხოლოდ 2008 წლის დასაწყისში შეაგდო. ისიც "ალიკანტესთან" სათასო დაპირისპირებაში.**

**- როგორ გრძნობთ თავს, "ალიკანტესთან" მატჩში გოლის გატანის შემდეგ? შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, რომ მადრიდულ კარიერაში პირველად შეძელით მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა.**

- ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემმა გოლმა გუნდს გამარჯვებისკენ მიმავალი გზა გაუფართოვა. ძალიან სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა. ბურთი ფეხზე კარგად მომაჯდა და ჩემს სტილში ძლიერად დავარტყი. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ იმ ეპიზოდში გონსალო იგუაინმა უდიდესი დახმარება გამიწია. მართლაც ფანტასტიკური კომბინაცია გამოვიდა.

**- რაზე ფიქრობდით, როცა გოლის გატანით გამოწვეულ სიხარულს ღიად გამოხატავდით?**

- მართლაც უდიდესი სიხარული და ემოცია დამეუფლა. პირველ რიგში საკუთარ თავზე ვფიქრობდი. ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადმოვბარგდი, მაგრამ გოლი აქამდე არ მქონდა გატანილი. ცხადია, ძალიან ვნერვიულობდი. მიხარია, რომ ნავსი გავტეხე. სადღესასწაულო წამს, რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახიც გამახსენდა. ისინი არანაკლებად ნერვიულობდნენ და განიცდიდნენ. მეუღლე მუდამ გვერდში მყავდა და მაქსიმალურად მეხმარებოდა. მისი თანადგომა რომ არა, ალბათ, გავტყდებოდი და ფარ-ხმალს დავყრიდი. შესანიშნავად მახსოვს, ჩემს ტრავმას ჩემი ცოლი წარმოუდგენლად მტკივნეულად აღიქვამდა, მაგრამ ამას არასოდეს იმჩნევდა და ქმრის ირგვლივ ოპტიმისტურ განწყობას ქმნიდა. განა ეს გმირობა არ არის? ჰოდა, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ გოლის გატანისას ცოლი გამახსენდა.

**- ალბათ, იმ მაისურს მთელი ცხოვრება შეინახავთ...**

- არა. უნდა მოგახსენოთ, რომ მაისურა "ალიკანტეს" ერთ-ერთ მოთამაშეს გავუცვალე. სიმბოლისტი და კოლექციონერი არ ვარ. არც ცრუ რწმენები მაწუხებს. ჩემთვის მთავარია, მომავალშიც შევძლო გოლების გატანა. ისე კი ყველაზე მძაფრად სამეფო კლუბში ჩატარებული სადებიუტო შეხვედრა დამამახსოვრდა. მართალია, ფეტიშისტი არ ვარ, მაგრამ ის მაისურა მაინც შევინახე. სხვათა შორის, "ჩელსის" არც ერთი მაისურა არ მაქვს. ჰო მართლა, კიდევ რამონ კალდერონის მიერ ნაჩუქარ "სანტიაგო ბერნაბეუს" ვერცხლის მაკეტს ვინახავ. ძალიან ლამაზი საჩუქარია.

**- არ დაგიმალავთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველი გოლის გატანა ეიფორიაში ჩაგაგდებდათ. რატომღაც მსგავსი რამ არავის უნახავს...**

- მიუხედავად იმისა, რომ გასულ ოთხშაბათს დიდი ხნის ნანატრი პირველი გოლი შევაგდე, გამიჭირდება იმის თქმა, სამეფო კლუბში საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე-მეთქი. რა თქმა უნდა, ასე არ იყო. მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო შესაძლებლობების მაქსიმუმის გამომჟღავნება ძალიან გამიჭირდა. ცხადია, ამ ფაქტს ყველაზე კარგად მე ვამჩნევდი და ხასიათი გამიფუჭდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩემთვის მთავარია, გოლების გატანა მომავალშიც შევძლო. მჯერა, ასეც იქნება.

**- რთული სიტუაციის გამო ეჭვები არ გიპყრობდათ? არასოდეს გიფიქრიათ, რომ "რეალი" თქვენს შესაძლებლობზე მაღლა დგას?**

- იმედია, თქვენ არ ფიქრობთ ასე (იცინის). საქმე რაც არ უნდა კარგად გამოგდიოდეს, სამეფო კლუბში თამაში ნებისმიერ შემთხვევაში უდიდეს წნეხთან იქნება დაკავშირებული. როცა გუნდს უდიდესი ამბიციები ამოძრავებს, მისი ფეხბურთელი ვალდებული ხდება ყოველ შეხვედრაში ბოლომდე დაიხარჯოს. უმცირესი წაფორხილების უფლებაც არ გვაქვს. საკმარისია, თუნდაც ერთი თამაში წააგო, რომ გულშემატკივრები უკმაყოფილებას ღიად გამოხატვენ. ბიჭები მეუბნებიან, რომ მათ განრისხებაზე საშინელი არაფერია. თურმე ძალიან დამთრგუნველი ყოფილა. საბედნიეროდ, მე საამისო გამოცდილება არ გამაჩნია. მას შემდეგ, რაც "ბერნაბეუზე" გადმოვბარგდი, "რეალი" შესანიშნავად გამოიყურება. თუმცა, თანაგუნდელებისგან ამომწურავ ინფორმაციას ვფლობ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გამორიცხულია, "რეალის" ფეხბურთელმა ოდესმე წნეხს თავი დააღწიოს. რას ვიზამთ, ეს ჩვენი ხვედრია.




არიენ რობენი

**- ზაფხულში 36 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაგიბირეს. საინტერესოა, ეს კოლოსალური თანხა პირადად თქვენ დამატებით წნეხში ხომ არ გაგდებთ?**

- ეს ისეთი საკითხია, რომელსაც მე ვერანაირად ვერ შევცვლი. რამდენიც არ უნდა მოვინდომო, თანხის მოცულობა არ შემცირდება. ამიტომ, ბედს უნდა შევეგუო. რა თქმა უნდა, 36 მილიონი ფენომენალური თანხაა, მაგრამ მე რა შუაში ვარ? ეს ხომ მათ გადაიხადეს. ვგონებ, ერთადერთი ვალდებულება მაქვს, ყურადღება არაფერს არ მივაქციო და თავდაუზოგავად ვიმუშაო. ალბათ, ჩემსავით ძვირადღირებული ფეხბურთელისგან უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე რამდენიმე მილიონად გადაბირებული მოთამაშისგან, მაგრამ ეს გარემოება კაპიტულაციის საბაბს არ მაძლევს. ზიდანი სულაც 60 მილიონად იყიდეს, მაგრამ ამას მისთვის ხელი არაფერში შეუშლია.

**- ძალიან მაინტერესებს, "ალიკანტესთან" მატჩის შემდეგ ბერნდ შუსტერმა რაიმე თუ გითხრათ...**

- რა თქმა უნდა. მთავარმა მწვრთნელმა წარმატება მომილოცა და დაამატა, შენ ისეთი ბიჭი ხარ, ძალიან მალე მთელ მსოფლიოს აალაპარაკებო. ღმერთმა ქნას, ჰერ შუსტერის სიტყვებს ხორცი შეესხას.

**ილია ნიკოლაიშვილი**

რაგბი

ლეგიონერები

# ქართველთა ოთხეული



მამუკა გორგოძე (თეთრ ფორმაში მარცხნივ) სტად ფრანსესთან მატჩში



გია ლაბაძემ ლა როშელთან ლელო გაიტანა

საშობაო არდადეგების დასრულებისთანავე გამართულმა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-6 ტურმა, ელიტარულ პირველ დივიზიონში ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. სატურნირო ცხრილის სათავეში ის ოთხეული მოექცა, რომელსაც რეალურად შესწევს ძალა, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. ალსანიშნავია, რომ ერთპიროვნული ლიდერობა ქართველ მორაგბეთა გუნდმა, „კლერმონმა“ იგდო ხელთ.

დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის გუნდმა მეექვსე ტურში მამუკა მაგრაქველიძის „ოშს“ უმასპინძლა და 26:6 დაამარცხა. ქართველებიდან თამაშში მონაწილეობა მხოლოდ ზირაქაშვილმა მიიღო, რომელიც მოედანზე 38-ე წუთიდან გამოჩნდა, შველიძე და მაგრაქველიძე განაცხადში არ იყვნენ.

მესამე ადგილიდან სატურნირო ცხრილის შუაგულში ჩაცოცდა მამუკა გორგოძის „მონპელიე“, რომელიც გასვლით მატჩში დამარცხდა ქვეყნის ჩემპიონ „სტად ფრანსესთან“ - 6:33. გორგოძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 52-ე წუთზე უხეში თამაშისთვის ყვითელი ბარათი მიიღო და ათი წუთით გააძევეს.

„მონპელიეს“ მეზობლად დაიმკვიდრა ადგილი ავთანდილ კოპალიანის „ბაიონმაც“, რომელიც სტუმრად დამარცხდა „ბურგუენთან“ 10:15. კოპალიანი განაცხადში არ იყო.

სამწუხაროდ, სატურნირო ცხრილის ბოლო ოთხი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს „კასტრს“, „ბრივს“, „დაქსს“ და „ოშს“ უჭირავთ.

**დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი“ სტუმრად დამარცხდა „პერპინიანთან“ 19:23. ხინჩაგიშვილი თამაშში 40-ე წუთიდან ჩაერთო. სტუმრადვე დამარცხდა „ალბისთან“ **ირაკლი გიორგაძის** „დაქსიც“ 17:24. გიორგაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ასევე სტუმრად ვერას გახდა ირაკლის ძმის, აქვსენტის „კასტრი“ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „ტულუზთან“ 13:32. „გლობუსა“ თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. VI ტური. **ბიარიცი-მონტობანი 10:8, კლერმონი-ოში 26:6, პერპინიანი-ბრივი 23:19, ბურგუენი-ბაიონი 15:10, ალბი-დაქსი 24:17, სტად ფრანსე-მონპელიე 33:6, ტულუზი-კასტრი 32:13.**

**1. კლერმონი - 22 ქულა, 2. ტულუზი - 19, 3. ბიარიცი - 18, 4. სტად ფრანსე - 17, 5. მონტობანი - 16, 6. ბაიონი - 16, 7. მონპელიე - 16, 8. ბურგუენი - 15, 9. პერპინიანი - 12, 10. ალბი - 12, 11. კასტრი - 9, 12. ბრივი - 8, 13. დაქსი - 7, 14. ოში - 6.**

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა მე-2 დივიზიონში. აქ სატურნირო ცხრილის პირველი ოთხი ადგილი ქართველთა გუნდებისგანაა „ოკუპირებული“ [illegible]. დამაჯერებლად ლიდერობს **გია ლაბაძის** „ტულონი“, რომელმაც შინ მშრალი ანგარიშით 36:0 დაამარცხა „ლა როშელი“. ლაბაძემ 59-ე წუთზე ლელო გაიტანა, მანამდე, კი 44-ე წუთზე არბიტრისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

შინ მოიგო მეორეადგილოსანმა, **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმაც“. საქართველოს საუკეთესო მორაგბის გუნდმა, დავით აშვეთიას „ოიონაქსი“ დაამარცხა 22:6. მაჩხანელი ტრავმირებულია, განაცხადში არ იყო **დავით აშვეთიაც**.

ტრავმების გამო არ უთამაშიათ **მალხაზ ურჯუკაშვილსა** და **ლევან ლვაბერიძეს**, შესაბამისად „ორიაკისა“ და „გრენობლის“ შემადგენლობაში. „ორიაკმა“ სტუმრად მოუგო „ბლანიაკს“ 19:18, „გრენობლმა“ კი „ლიმოჟს“ სძლია შინ 27:18. სტუმრად მშრალი ანგარიშით 0:37 დამარცხდა „ლიონთან“ **იგორ ბარბაქაძის** „ტარბი“. ბარბაქაძე განაცხადში არ იყო.

დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია „ნარბონის“ შემადგენლობაში **გიორგი კუთარაშვილს**. ნარბონელებმა შინ გაჭირვებით სძლიეს „მეტრო რასინგს“ 9:6.

II დივიზიონი. X ტური. **ნარბონი-მეტრო რასინგი 9:6, ტულონი-ლა როშელი 36:0, ბეზიე-ბორდო 6:3, ლიონი-ტარბი 37:0, მონ დე მარსანი-ოიონაქსი 22:6, ბლანიაკი-ორიაკი 18:19, გრენობლი-ლიმოჟი 27:18, პო-აჟენი (გადაიდო).**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულონი - 40 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 32, 3. ორიაკი - 29, 4. გრენობლი - 28, 5. აჟენი - 26, 6. მეტრო რასინგი - 26, 7. ბეზიე - 26, 8. ლიონი - 25, 9. ლა როშელი - 21, 10. ნარბონი - 19, 11. ოიონაქსი - 18, 12. პო - 16, 13. ტარბი - 14, 14. ლიმოჟი - 13, 15. ბორდო - 12, 16. ბლანიაკი - 4.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

კლასიფიკაცია

# მეცხრედან მეცამეტემდე



ბადურ ჯობავა



მაია ჩიბურდანიძე

ახალი წლიდან მოჭადრაკეებს ახალი რეიტინგები აქვთ. როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, საერთაშორისო ფედერაცია ყოველ კვარტალში ერთხელ აქვეყნებს ახალ ცხრილს. 1 იანვარს გამოქვეყნებული მაჩვენებლებით უახლოესი სამი თვის მანძილზე იხელმძღვანელებენ მოჭადრაკეები. ცხადია, საინტერესოა, თუ რა მონაგარით ხვდებიან ქართველები ახალ წელს და რა ტენდენციებია ჩვენს ჭადრაკში.

ზაფხულში აღვნიშნეთ, რომ საერთო ჯამში ქართულ ჭადრაკში კლების ტენდეცია შეინიშნებოდა. უკუსვლა საკმაოდ თვალსაჩინო იყო და შეძლებისდაგვარად აღვწერეთ კიდეც სიტუაცია. მას შემდეგ ნახევარი წელი გავიდა და კვლავ გვსურს, შედარებით ვრცლად განვიხილოთ მოვლენები. სამწუხაროდ, საიმედოს ვერაფერს მოგახსენებთ და ვიტყვით, რომ კლების მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტია.

ამის უპირველესი მაჩვენებელია ქვეყნის საშუალო რეიტინგი. წესის თანახმად, ითვლება ყოველი ქვეყნის პირველი ათეულის წევრი მოჭადრაკეთა საშუალო რეიტინგი. 1 ოქტომბრისთვის, ანუ წინა რეიტინგში საქართველო მეცხრე ადგილზე იყო. ამ პოზიციას თითქმის ორი წლის მანძილზე ვინარჩუნებდით, მაგრამ ამჯერად ასე აღარ არის და მეცამეტე ადგილზე ჩამოვქვეითდით. სურათი არც ათეულს მიღმა მყოფთა შორისაა - აქაც უმეტეს ნაწილში კლება შეინიშნება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა შედეგის აქ განხილვა, მაგრამ ქალთა და კაცთა ათეულების ჩვენება კი დიდ პრობლემა სარ წარმოადგენს. ვიდრე ამ მაჩვენებლებს გაგაცნობდეთ, ვიტყვით, რომ დღეისათვის საქარველოში საერთაშორისო რეიტინგის მფლობელი 387 მოჭადრაკეა. აქედან 21 დიდოსტატია, 26 საერთაშორისო ოსტატი, 8 ქალთა შორის დიდოსტატი, 11 ქალთა საერთაშორისო ოსტატი; 8 ფიდეს ოსტატი და 10 ქალი ფიდეს ოსტატი.

უმაღლესი რეიტინგი დღეისთვის **ბადურ ჯობავას** აქვს - 2643. ეს მაჩვენებელი ერთით ნაკლებია წინა მაჩვენებელზე. მორეა **ზვიად იზორია** - 2637. ზვიადმაც დაიკლო - ოქტომბერში 2643 ქულა ჰქონდა. მესამეა **მიხეილ მჭედლიშვილი** - 2635. მიშა ბოლო დროა სტაბილურად მიიწევს წინ და ერთ-ერთი გამონაკლისია საერთო სურათიდან - ოქტომბრის მაჩვენებელთან შედარებით ოთხი პუნქტით მეტი აქვს. მნიშვნელოვნად მოიმატა **ლევან ფანცულაიამაც** - ოქტომბერში 2617 ჰქონდა, ახლა - 2629. მეხუთეზე **თამაზ გელაშვილია**, რომელმაც მხოლოდ ერთი პუნქტი დაკარგა და დღეისთვის 2622 ქულა აქვს. მეექვსეზე **ზურაბ აზმაიფარაშვილია** 2606 ქულით. ზურაბს ქულათა რაოდენობა უცვლელი აქვს. მეშვიდეზეა გია გიორგაძე - 2592 ქულით. არც გიორგაძეს უაქტიურია ამ სამ თვეში და წინა მარაგით ინარჩუნებს ათეულში ადგილს. მერვეზეა **დავით არუთინიანი**, რომელმაც ორი პუნქტით გააუმჯობესა საოქტომბრო მარაგი - 2576. მეცხრეა **დავით შენგელია** - 2568; დავითმაც მოიმატა, მხოლოდ მცირედით - 4 პუნქტით. მეათეზეა **მერაბ გაგუნაშვილი** - 2553. მერაბისთვის გასული სამი თვე ერთ-ერთი წარუმატებელი იყო და მან უჩვეულოდ ბევრი ქულა დაკარგა - 31. იმედია, ახალი წლიდან შეძლებს ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მოჭადრაკე საკუთარი თამაშის პოვნას და წინსვლას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2600-იან მოჭადრაკეთა რაოდენობაც შეგვიმცირდა: რვის ნაცვლად შვიდი გვყავს.

ამ ათეულიდან მსოფლიოს საუკეთესო ასეულში ოთხი შედის: ბადურ ჯობავა 74-ეა; ზვიად იზორია - 84-ე; მიხეილ მჭედლიშვილი - 89-ე; ლევან ფანცულია - 94-ე.

დაახლოებით მსგავსი ვითარებაა ქალთა შორისაც. პირველი კვლავ **მაია ჩიბურდანიძეა** 2489 ქულით, მაგრამ მისი კლებაც აშკარაა - 11 პუნქტით დაქვეითდა. მეორე კვლავ **ლელა ჯავახიშვილია** - 2470, თუმცა ლელამაც დაკარგა 4 პუნქტი. მესამეზე გადაინაცვლა **ქეთევან არახამია-გრანტმა** - 2457 ქულა აქვს. ქეთევანის მატებამ 25 პუნქტი შეადგინა. მეოთხეზეა **ნინო ხურციძე** - 2441 ქულით, ნინომ 9 პუნქტი დაიკლო. მეხუთეა **ნანა ძაგნიძე** - 2429 მოაგროვა, რაც წინა მაჩვენებელთან შედარებით 13 პუნქტით მეტია. მეექვსეა **მაია ლომინეიშვილი** - 2410 ქულა დააგროვა და მხოლოდ ერთით მეტი გაუხდა. მეშვიდეზე **სოფიკო ხუხაშვილია** 2387 ქულით. სოფიკოს ამ კვარტალში უქმობა მოუწია და შესაბამისად შედეგიც იგივე დაურჩა. მერვეზე **ანა მათნაძეა** 2385 ქულით. ანამ 5 პუნქტი დაიკლო. მეცხრეა უბერებელი **ნონა გაფრინდაშვილი** - მისი დღევანდელი რეიტინგი 2376-ს უდრის, - არც ქალბატონ ნონას უთამაშია ამ დროის განმავლობაში სადმე. ათეულის ასრულებს **ინგა ჭარხალაშვილი** - მისი მაჩვენებელი 2369-ს უდრის, რაც ოქტომბრის რეიტინგს 4 პუნქტით ჩამორჩება.

მსოფლიო ქალთა რეიტინგში, საუკეთესო 50-ულში ხუთი ქართველია: მაია ჩიბურდანიძე, მეცამეტე ადგილამდე ჩამოვქეითდა, - ეს შედეგი ერთ-ერთი უარესია მაიას კარიერაში - რამდენიმე ათეული წელია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ათეულს არ გასცილებია. ლელა ჯავახიშვილი 23-ეა; ოცდამეათეა ქეთევან არახამია-გრანტი; ნინო ხურციძეს 37-ე პოზიცია უკავია, ნანა ძაგნიძე 42-ეა.

სამწუხაროა, მაგრამ მონინავე 20-წლამდელ ვაჟებში ალარცერთი ქართველი არ შედის, გოგონებში კი მხოლოდ ერთია და ისიც - დებიუტანტი: 14 წლის **ნაზი პაიკიძე**. ნაზის მაჩვენებელი 2311-ს უდრის. აქ ჩინელი **იფან ჰოუ** ლიდერობს, რომელსაც 2527 ქულა აქვს. იფანი, გაგიკვირდებათ და 13 წლის არის!

ქალთა 50-ეულს სათავეში ტრადიციულად უნგრელი იუდით **პოლგარი** უდგას - მას კაცთა შორისაც საოცრად მაღალი, სუპერრეიტინგი აქვს - 2707.

წარმოუდგენელია, რომ იუდითს რამდენიმე წლის განმავლობაში რომელიმე ქალმა ჩამოართვას პირველობა. თუმც ამის გაკეთებას ეცდება ინდოელი **ჰამპი კონერუ**, რომელიც 20 წლის არის და მშვენიერი ქულათა მარაგიც გააჩნია - 2612. მესამეზე ჩინელი **ძან სიეა** - 2574 ქულით.

კაცებს და, შესაბამისად მსოფლიო რეიტინგს სათავეში **ვლადიმერ კრამნიკი** უდგას - 2799 ქულა აქვს. მეორეზე ზუსტად ამდენივეთი ინდოელი **ვიშვანათან ანანდია**; მესამეა ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვი** - 2780.

სუპერრეიტინგის - 2700 და მეტის მქონე მოჭადრაკე მსოფლიოში დღეისათვის 24-ია, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. პირველი მარტისთვის, როცა ახალი რეიტინგი გამოქვეყნდება, შესაძლოა ამ რიცხვს კიდევ რამდენიმე მიემატოს, რადგანაც 2690-ზე მეტი 6 მოჭადრაკეს აქვს. სამწუხაროდ, მათ შორის ქართველები არ არიან.

**ზვიად შათირიშვილი**

| საუკეთესო ათეული: | |
|---|---|
| 1. რუსეთი | (2721) |
| 2. უკრაინა | (2680) |
| 3. ისრაელი | (2636) |
| 4. აშშ | (2633) |
| 5. ჩინეთი | (2631) |
| 6. სომხეთი | (2627) |
| 7. საფრანგეთი | (2625) |
| 8. უნგრეთი | (2624) |
| 9. ჰოლანდია | (2610) |
| 10. აზერბაიჯანი | (2609) |
| **13. საქართველო** | **(2606)** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# 2 მოგება და 1 წაგება ნაახალწლევს

მცირეხნიანი საახალწლო პაუზის შემდეგ, ევროპაში განახლდა საკალათბურთო სეზონი. შესაბამისად, ჩვენმა ლეგიონერებიც საახალწლო სუფრებიდან საკალათბურთო მოედანს დაუბრუნდნენ. სამმა მათგანმა ჩაატარა 2008 წელს პირველი მატჩი და ორმა წარმატებით გახსნა სეზონი.

## იტალია

კარგი ამბები ბოლოსთვის მოვიტოვოთ და იტალიით დავიწყოთ, სადაც **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** „ტერამომ“ საკუთარ მოედანზე დასანანად წააგო „ბოლონიასთან“. ბოლო მეოთხედის წინ, ტერამოელები ცხრაქულიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა - 92:91 „ბოლონიას“ სასარგებლოდ.

სამწუხაროდ, თავი დიდად ვერ გამოიჩინა ცქიტიშვილმა. მან 20 წუთში 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამქულიანი ააცილა და ორივე საჯარიმო გამოიყენა. საბოლოოდ, მან თამაში დაამთავრა 4 ქულით და 6 მოხსნით.

## ესტონეთი

**გიორგი ცინცაძემ** და მისმა ესტონურმა „ტარტუ როკმა“ ბალტიის ლიგაზე ბოლოადგილოსან „ნეპტუნასს“ უმასპინძლეს და წყალწაღებული ლიტველები უპრობლემოდ დაამარცხეს - 81:69.

ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო და საკმაოდ სარგებლიანად გაისარჯა. ქართველმა გამთამაშებელმა 24 წუთში 8-დან 5 ორქულიანი გამოიყენა, ხოლო სამქულიანებში და საჯარიმოებში ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა - 1-დან 1 სამქულიანი და 3-დან 3 ჯარიმა. საბოლოოდ, ჩვენებურმა 16 ქულას მოუყარა თავი. მასზე ოდნავ მეტი - 17-17 ქულა მხოლოდ ტარტუელმა კუსიორტმა და ნეპტუნასელმა შუხოვცოვმა მოაგროვეს.

ამას გარდა, გიორგის აქტივშია 4 მოხსნა და 4 პასი. აღსანიშნავია, რომ შედეგიანი გადაცემების მხრივ, იგი საუკეთესო იყო ორივე გუნდში. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მან 6-ჯერ დაკარგა ბურთი.

საბოლოოდ, ცინცაძის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 13 ბალი შადგინა, რაც მოედანზე მყოფთა შორის მეოთხე მაჩვენებელი აღმოჩნდა.

14 ტურის შემდეგ, „როკი“ მეშვიდე ადგილზეა 5 მოგებითა და 8 წაგებით.



გიორგი ცინცაძე

## უკრაინა

წლევანდელ უკრაინის ჩემპიონატში კვლავ ერთადერთ წაუგებელ გუნდად რჩება მანუჩარ მარკოიშვილის „კიევი“. დედაქალაქელებმა 2008 წლის სეზონის დაწყება საკუთარ მოედანზე „ოდესის“ დამარცხებით აღნიშნეს - 102:89.

მარკოიშვილმა 19 წუთი ითამაშა და 12 ქულა ჩააგდო. მან 5-დან 2 ორქულიანი გამოიყენა, ხოლო პერიმეტრს მიღმიდან და საჯარიმო ხაზზე ცინცაძესავით ასპროცენტიანი იყო - ორ-ორი ჯარიმა და სამქულიანი უშეცდომოდ ისროლა. „მანუს“ სხვა სტატისტიკური მონაცემები კი ასეთი იყო: 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შედეგიანი გადაცემა და 2 დაფარება.

**კობა ხატისაშვილი**



ვლადიმერ ბოისა

# არის არისი!

შაბათს უკვე გაცნობეთ, რომ ვლადიმერ ბოისა რუსული „სპარტაკ-პრიმორიედან“ ბერძნულ „არისში“ გადავიდა. აი, რა ეწერა სალონიკური კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: *„საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამ „არისთან“ ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კლუბს სეზონის ბოლომდე დაეხმარება. გუნდის სამწვრთნელო შტაბს მისი გადაბირება სეზონის დასაწყისშიც სურდა, მაგრამ მაშინ ბოისა რუსულ „სპარტაკში“ გადავიდა. საახალწლო დღეებში „არისის“ პრეზიდენტმა ათანასიოს ცეველეკისმა და გენერალურმა მენეჯერმა იანის დამიანიდისმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ვლადიმერ ბოისა საბერძნეთში გადმოსვლაზე დაეთანხმებინათ. მათი მისია იოლი შესასრულებელი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ქართველი კალათბურთელის გადაბირების მცდელობა არაერთ წამყვან ევროპულ კლუბს ჰქონდა. „არისში“ ბოისა დაიკავებს ლიტველი სიმონას სერაპინასის ადგილს, რომელიც გუნდის დატოვებას აპირებს.“*

ამ ინფორმაციას ჩვენი მხრივ დავამატებთ რომ ლიტველი **სერაპინასი** „არისში“ მე-7 ნომრით თამაშობდა. ვლადიმერ ბოისას სწორედ მისი შვიდნომრიანი ყვითელი მაისურა ერგება.

სათაურში ძახილის ნიშნის გამოყენება აუცილებელი იყო, რადგან ვოვას მიერ რუსეთის დატოვება სუფთა სპორტული თვალსაზრისით სწორი ნაბიჯი გახლდათ. აი რატომ: „პრიმორიეში“ ბოისა დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს - გუნდს ახალი ლიდერი გამოუჩნდაო, მაგრამ მწვრთნელის ტაქტიკა ისე აეწყო, რომ ქართველ ფორვარდს 20 წუთზე ნაკლები სათამაშო დრო ეძლეოდა და შეტევათა უმრავლესობა ბოისას გვერდის ავლით მთავრდებოდა.

მეორე მიზეზი რამაც ვოვას რუსეთიდან წამოსვლა გადააწყვეტინა, „სპარტაკ-პრიმორიეს“ სუსტი გამოსვლა იყო - ძლიერი შემადგენლობის მიუხედავად გუნდი რუსეთის ჩემპიონატში თამაშს-თამაშზე აგებდა.

ვოვას ახალი გუნდისგან განსხვავებით პრიმორიელები არც ევროტურნირზე გამოდიოდნენ - აზიურ გუნდს ფიბა-ევროპამ ევროთასზე თამაშის უფლება არ მისცა.

...ბერძნული „არისი“ კი ევროლიგის ერთ-ერთი წარმატებული გუნდია. მან ამ ევროტურნირზე 4 იანვარს ხორვატიის „ციბონა“ სტუმრად დაამარცხა. აღნიშნულ შეხვედრაში ქართველ ფორვარდს მონაწილეობა არ მიუღია. სადღეისოდ „არისი“ ევროლიგის B ჯგუფში მეოთხე ადგილზეა და მომდევნო ეტაპზე გასვლასთან ძალიან ახლოსაა. თითო ჯგუფიდან 5-5 კლუბი გადის. „არისს“ კი მეექვსეადგილოსან „ციბონაზე“ სამით მეტი მოგება აქვს...

ვოვას ახალი კლუბი არც საბერძნეთის ჩემპიონატში ჭაკობს - „პანათინაიკოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ შემდეგ მესამე ადგილზეა.

სალონიკის „არისი“ ევროთასებზეც წარმატებული კლუბია: 1993 წელს თასების თასი მოიგო, 1997 წელს - კორაჩის თასი, 2003 წელს ფიბას ჩემპიონთა თასი. ამასთან იგი საბერძნეთის ათგზის ჩემპიონი და შვიდგზის თასის მფლობელია.

და რაც მთავარია - „არისს“ სეზონის დასაწყისში სათავეში საქართველოს ნაკრებიდან წასული **გორდინ ჰერბერტი** ჩაუდგა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ნაკრებში მუშაობისას ჰერბერტი ყველაზე მეტად ვლადიმერ ბოისას ენდობოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველ ფორვარდს „არისში“ კარგი მომავალი ელის.

სამი ამერიკელის გვერდით სალონიკის გუნდში ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფინელი **ჰანო მოტოლა** თამაშობს. ფინეთ-საქართველოს დაპირისპირებებისას ვოვასა და ჰანოს სწორედ ერთმანეთის მეურვეობა ევალებოდათ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## თარიღი

**ზვიად იზორია.** 06.01.1984, ხონი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (2002). საქართველოს ჩემპიონატის ორგზის მეორე (2001, 02) და მესამე (2003) პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის (2001, 02), ჭაბუკთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1998). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილე (2002, 04).

**კობა გოგოლაძე.** დაიბადა 07.01.1973, ფოთი. კრივი. (60, 63 კგ.) მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1997), ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1998), ევროპის თასის მფლობელი (1998), სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1991), 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ბრძოლას გამოეთიშა მესამე წრიდან). 1999 წლიდან გადავიდა პროფესიონალურ კრივში. WBF-ს ვერსიით — ინტერკონტინენტალის საჩემპიონო ქამრის მფლობელი (1999-2000), IBA-ს ვერსიით — კონტინენტალის საჩემპიონო ქამრის მფლობელი (2004). პროფესიონალურ რინგზე გამართა 18 ბრძოლა, რომელთაგან 17 მოიგო (7 — ნოკაუტით) და 1 წააგო.

**ბორის პოლულიახი.** 07.01.1938, თბილისი — 09.11.1996. წყალში ხტომა, ტრამპლინი. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962 — სამმეტრიანი ტრამპლინი), ევროპის თასის მფლობელი (1963 — სამმეტრიანი), სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1961, 64, 65, 67, 68 — სამმეტრიანი), სამგზის მეორე (1961, 65 — ერთმეტრიანი: 63 სამმეტრიანი), და მესამე (1960, ერთმეტრიანი) პრიზიორი. 1964 წლის ტოკიოსა (VI ადგილი) და 1968 წლის მეხიკოს (XX ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი ვეტერანი, წარსულში სახელმწიფო სპორტკომიტეტისა და ბოლო ათწლეულებში სპორტის აკადემიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

**გივი ჯანელიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა სოფ. ნიკორწმინდაში (ამბროლაურის რაიონი) 8 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი ინტრიგა ოთხმოცდაათია

## შოთა ხაბარელმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა 26-27 იანვარს თბილისის მსოფლიო თასზე გასაყვანი შემადგენლობა საბოლოოდ დაადგინა. შეგახსენებთ, რომ ძირითადი ბირთვი ქვეყნის პირველობის დამთავრებისთანავე გაირკვა, მაგრამ მიზეზთა გამო, თითო-ოროლა ვაკანსია ისევ რჩებოდა, რომლის მოგვარებაზეც ხაბარელმა დეკემბრის ბოლოს ბაკურიანში მოწყობილ შეკრებაზე იზრუნა.

წლევანდელი მსოფლიო თასი სალიცენზიო ტურნირია და მისი მნიშვნელობა გაორმაგებულია, თუმცა ჩვენს ნაკრებს ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებს, ვინაიდან შვიდიდან ხუთი ლიცენზია მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა. ამიტომ ხაბარელი ლიცენზიამოპოვებულთა ნაწილს ასვენებს, რათა ოლიმპიადას დასვენებული და საგანგებოდ მომზადებულნი შეხვდნენ, თუმცა ტურნირზე მაინც საინტერესო გუნდს წარადგენს. ამის წინაპირობა თავად წონებში გაჩენილი კონკურენციაა, რაც წონითი კატეგორიების მიხედვით მიმოვიხილოთ.



ლომერ ჟორჟოლიანი, ლაშა გუჯეჯიანი, ირაკლი ცირეკიძე და შოთა ხაბარელი

**60 კგ. ვახტანგ ხოსიტაშვილი, დავით სვიმონიშვილი, ბეთქილ შუკვანი და ამირან პაპინაშვილი.**

ხაბარელის გადაწყვეტილებით, აქ ნესტორ ხერგიანი ისვენებს. ვეტერანმა ფალავანმა წლეულს ჩინებული სეზონი ჩაატარა - ევროპის პირველობაზე ბრინჯაო, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა. იგი უკვე ასაკოვანი სპორტსმენია და გასაგებია, რატომაც ასვენებენ. მით უფრო, ლიცენზია საძიებელი არა აქვს და ოლიმპიადისთვის მშვიდად მომზადება შეუძლია. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, აქ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი დავით სვიმონიშვილი, ფინალისტი ბეთქილ შუკვანი, ბრინჯაოს პრიზიორი ამირან პაპინაშვილი და ვახტანგ ხოსიტაშვილი იჭიდავებენ. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ხოსიტაშვილს საქართველოს პირველობაზე არ უჭიდავია, თუმცა ამ ტურნირზე ადგილი იმთავითვე დაუბევს, ამან კი თასის მიღმა ქვეყნის წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს მფლობელი, სამბოში მსოფლიო ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი დატოვა. ხაბარელი მას შანსს მოგვიანებით, სხვა ტურნირებზე მისცემს, მე კი შეგახსენებთ, რომ სვიმონიშვილიც სამბისტია. მისასალმებელია ხოსიტაშვილ-შუკვანის კონკურენციაში მისი ჩართვა, თუმცა ამათთან ერთად ხერგიანსაც რომ ეჭიდავა, ქომაგისთვის ნამდვილი სეირი მაშინ იქნებოდა. აქვე ნურც პაპინაშვილს დავივიწყებთ, რომელმაც შარშანწინ საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა და ნაკრების კანდიდატადაც მაშინ იქცა.

**66 კგ. ზაზა კედელაშვილი, უჩა ხუციშვილი, დავით ასუმბანი და ალექსანდრე იაკობაშვილი.**

რადგან ამ წონის გამოკვეთილი ლიდერი, ევროპის პირველობის ზედიზედ ორჯერ მომგები ზაზა კედელაშვილი ულიცენზიოდ დარჩა, ამ ტურნირზე აუცილებლად გამოვა. ევროპის პირველობაზე გამარჯვებით იგი სალიცენზიო რეიტინგში იმდენად დაწინაურდა, ერთი ტურნირის მოგებაც საბოლოოდ გაუნაღდებს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებას. ცხადია, შინაურ ტურნირზე გამარჯვების მეტი შანსია და ჩვენები ამიტომაც ემზადებიან საგანგებოდ. საინტერესოა მისი ჭიდაობის ხარისხიც, რადგან სეზონის მეორე ნახევარი, პრაქტიკულად, ჩააგდო.

შეიძლება ითქვას, ასუმბანი ამ წონას მშვენივრად მოერგო. იგი 60-ში ძალიან ბევრს იკლებდა, რასაც ჯანმრთელობის მხრივ სხვა პრობლემებიც ემატებოდა, ახლა კი აქ გადმოინაცვლა და შედეგიანადაც. ახალ წონაში პირველად 23 -წლიანთა საქართველოს ჩემპიონატში იჭიდავა და მოიგო კიდეც, მეორედ კი ახლა გამოვიდა და მხოლოდ ფინალში დამარცხდა ხუციშვილთან. ნელნელა იაკობაშვილიც სტაბილურ მოჭიდავედ ყალიბდება - ბოლო ხანებში საქართველოს ჩემპიონატზე სულ უფრო ხშირად იხვეჭს მედლებს, წლეულს კი ახალგაზრდების პირველობაც მოიგო.

სანყენია, რომ აქ მინდია ხომიზური ვერ იჭიდავებს - იგი ჯერაც იმუშებს ერევნის დიდ პრიზზე მიღებულ ტრავმას, რომელიც ოპერაციით დასრულდა. არადა, მისი ყოფნა კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდიდა.

**73 კგ. თენგიზ პაპოშვილი, დავით კუპრაშვილი, კახა მამულაშვილი და ზურაბ დილებაშვილი.**

ეს წონაც ლიდერის - ევროპის ვიცეჩემპიონ დავით ქევხიშვილის გარეშეა დარჩენილი. აქ მწვრთნელებმა ქვეყნის წლევანდელი პირველობის მედალოსნები დააყენეს. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონი პაპოშვილი გახდა, რომელმაც ფინალში კუპრაშვილს მოუგო, მამულაშვილი და დილებაშვილი კი მესამეზე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ 23-იანთა ჩემპიონატის ფინალშიც კუპრაშვილ-პაპოშვილის წყვილი ვიხილეთ და მაშინ კუპრაშვილმა მოიგო. ასევე აღსანიშნავია ამ კვარტეტში ახალგაზრდა დილებაშვილის გამოჩენა, რომელმაც წლეულს 23-იანებშიც იყოჩაღა - ბრინჯაო მოიპოვა.

**81 კგ. გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი და საბა გავაშელიშვილი.**

ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და გაურკვეველი წონა ჩვენს ნაკრებში. 66-ის მერე ეს მეორე წონაა, რომელშიც ლიცენზია არ მოგვიპოვებია. ერთი შეხედვით, ამის პერსპექტივა არც ისე ნათელია, მაგრამ ლიცენზიისთვის იმდენად კარგი ფალავნები იბრძვიან... თან, მათ შორის საუკეთესოს დასახელება ძალიან ჭირს, რადგან თითქმის ყველა დაახლოებით თანაბარი დონისაა.

მისასალმებელია ამ დავაში მამრიკიშვილის ჩართვაც, რომელიც საქართველოს პირველობის ფინალში გავაშელიშვილთან დამარცხდა. თუმცა მან ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იჭიდავა და გასაკვირი არაა. ფორმაში თუ ვერ იყო. თავის მხრივ, თვალშისაცემია ტექნიკური და ფიზიკურად საკმაოდ კარგად მომზადებული გავაშელიშვილის სწრაფი, შეუქცევადი პროგრესიც - საქართველოს ჩემპიონობა ნამდვილად არაა მისი მაქსიმუმი. აქ არაფერს ვამბობთ ბაინდურაშვილსა და შინჯიკაშვილზე, რომლებსაც საკუთარი სიძლიერე არაერთხელ დაუმტკიცებიათ. ვფიქრობ, ამ წონაში მოვლენათა საინტერესო განვითარება გველოდება.

**90 კგ. ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური, ვალერი ლიპარტელიანი, ბესიკ ტყემალაძე.**

ტურნირზე ლიცენზიამოპოვებული მსოფლიო ჩემპიონი ცირეკიძეც იჭიდავებს, რადგან მან ახლა ნაკრებში უნდა მოიპოვოს ადგილი. ამ დავაში მის მთავარ კონკურენტად ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური რჩება. ხაბარელის ადგილზე ყოფნას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებს - არჩევანი ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონებს შორის უნდა გააკეთოს. ცხადია, ყველაზე დიდ ინტერესს ამათი დაპირისპირება იწვევს. ინტერესი იმდენად დიდია, რომ ეს დავა მთელ ტურნირს გადაწონის, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ახალგაზრდა ვალერი ლიპარტელიანის გამოსვლაც. მართალია, ის ჯერ ამ რანგის გიგანტებთან საჭიდაოდ პატარაა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატზე ნამდვილ ტალანტად წარმოჩნდა და საინტერესოა, ტიტულოვან მეტოქეებთან ჭიდილში როგორ წარმოაჩენს თავს. იგი მართლაც დამსახურებულად გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თუმცა ურიგო მოჭიდავე არც მისგან ფინალში ძლეული ტყემალაძეა. და მაინც - ამ ეტაპზე ჩვენი ყურადღება უფრო იმ სამისკენაა მიპყრობილი.

**100 კგ. ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე და მინდია ბოდაველი.**

აქაც საინტერესო დავა ჟორჟოლიანსა და ყიზილაშვილს შორის. ხაბარელი აქაც იგივე პრობლემის წინაშეა, როგორშიც 90-ში - ლიცენზია აქაც მოპოვებულია, მაგრამ ლიდერის საკითხია გაურკვეველი. საგზური ჟორჟოლიანმა მოიპოვა და ამიტომ საქართველოს ჩემპიონატზე არ აჭიდავეს. სამაგიეროდ, იქ ყიზილაშვილმა იმდენად ჩინებულად იჭიდავა, მისი უშანსოდ დატოვება და კიდევ ერთხელ არგამოცდა ცოდვა იქნებოდა. საინტერესოა ამ კვარტეტში მინდია ბოდაველის გამოჩენა, რომელიც თავიდან 90-ში ჭიდაობდა, მაგრამ ზვიადაურის კონკურენციის გამო სამბოში გადაინაცვლა. იქ ორჯერ ევროპის, ერთხელ კი მსოფლიო ჩემპიონობაც მოასწრო და ისევ ძიუდოს დაუბრუნდა, ოღონდ უკვე - 100-ში. ქვეყნის პირველობაზე ბრინჯაოც მოიპოვა და ურიგოდ ნამდვილად არ გამოსულა.

დასანანია, რომ ტრავმის გამო ვერც აქ ჭიდაობს ძალზე პერსპექტიული ახალგაზრდა - ნოდარ მეტრეველი, თორემ გაცილებით დიდი კონკურენცია იქნებოდა.

**+100 კგ. ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე, ადამ ოქრუაშვილი.**

ხაბარელმა ლიცენზიამოპოვებული გუჯეჯიანიც დააყენა, რითაც ინტერესი გაათმაგა. თუმცა მოვლენებს რეალურად თუ განვსჯით, ამ ეტაპზე მას სერიოზულ კონკურენციას მხოლოდ ხანჯალიაშვილი თუ გაუწევს. საინტერესოა თავად ხანჯალიაშვილის გამოსვლაც, რადგან მან შარშანდელი სეზონი პირწმინდად ჩააგდო. არა გვგონია, ამ დუეტს სერიოზული კონკურენცია სამბისტთა ნაკრების ლიდერმა ჩინჩალაძემ, ანაც ძალზე პერსპექტიულმა, მაგრამ ჯერ ახალგაზრდა ოქრუაშვილმა გაუწიონ.

**დასასრულს, შევნიშნავთ, რომ დასახელებულ შემადგენლობაში ცვლილებები გამორიცხული არაა, მაგრამ ეს მხოლოდ ტრავმების შემთხვევაში თუ მოხდება. ნაკრები საგანგებოდ ამ ტურნირისთვის შეკრებას 10 იანვარს თბილისში დაიწყებს.**

ირაკლი თავაძე



ლაშა გუჯეჯიანი



ზაზა კედელაშვილი



ეს საინტერესოა

# როგორია იდეალური მოთამაშე?

**როგორი** უნდა იყოს NBA-ს იდეალური მოთამაშე? ვილებთ ცოტა კობი ბრაიანტს, ვურევთ ლებრონ ჯეიმსს... მოკლედ, ამ დელიკატესის დამზადებას შემდეგი კომპონენტები დასჭირდება.

## მკვლელის ინსტინქტი: კობი ბრაიანტი

ვის მისცემთ ბურთს, როდესაც შეხვედრის მოსაგებად ან გადასარჩენად ერთი ზუსტი სროლაა საჭირო? ამაზე არც დავობენ, რადგან „ლეიკერსის" მეგავარსკვლავმა ლიგაში მაგიური თამაშითა და გადამწყვეტ მომენტებში რკინის ნებისყოფის გამოვლენით, ამ კომპონენტში სხვებთან შედარებით უზარმაზარი ჰანდიკაპი შექმნა. ასე რომ, **კობი ბრაიანტი** ულაპარაკო ფავორიტია.

## ინტელექტი: ჯეისონ კიდი

ეს გენიალური უკანახაზელი ასაკის მატებასთან ერთად აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და სულ უფრო უახლოვდება ყველა დროის უდიდეს ფლეიმეიქერებს - **მეჯიქ ჯონსონს, ჯონ სტოქტონს, ოსკარ რობერტსონს, ბობ კოუზისა და აიზია ტომასს. კიდს** კარიერაში 94 სამმაგი დუბლი აქვს გაკეთებული და წელს თავისი გუნდის საუკეთესო მომხსნელიცაა (!).

## მოედნის ხედვა: სტივ ნეში

საკამათოა, ვინ უფრო დიდი გამთამაშებელია - **სტივ ნეში** თუ წინა ქვეთავში მოხსენიებული პიროვნება, მაგრამ თუ ნეში გუნდში გყავს, ლალი, ზესწრაფი და ლამაზი კალათბურთი 100 პროცენტით გარანტირებული გაქვს. გენიოსი კანადელი ისეთ ერთუჯრედიან კალათბურთელსაც კი აათამაშებს, როგორიც **ბრაიან სკინერია**. სტივი არ თამაშობს დაცვას, მაგრამ ამას "სანზში" ყურადღებას არც კი აქცევენ.

## ათლეტურობა: ლებრონ ჯეიმსი

შეუზღუდავი შესაძლებლობების ადამიანი, რომელსაც თითქმის ყველა არსებული რეკორდის გაუმჯობესება შეუძლია. **ლებრონ ჯეიმსი** კარიერის ზენიტში 2-3 წლის მერე შევა, მანამდე კი თამაშის სრულყოფას მოახმარს დროსა და ენერგიას. მთავარია, ეს ახალგაზრდა ზედმეტმა ყურადღებამ არ "გადაწვას" და ამ შემთხვევაში, იგი ნებისმიერ ბარიერს სხვაზე იოლად გადალახავს.

## სლემ-დანქი: ჯოშ სმიტი

"ჰოქსის" მსუბუქი ფორვარდი XXI საუკუნის **დომინიკ უილკინსია** და პრინციპში, სუპერნახტომის გარდაც, ბევრი რამ (მაგალითად, დაცვაში თამაში) კარგად გამოსდის.

## ძალა და გამძლეობა: დუაიტ ჰოვარდი

"ახალი შაკი", ანუ ფლორიდელთა ახალგაზრდა ცენტრი არანორმალური ძალისა და გამძლეობის პატრონია და პრინციპში, სწორედ ამის ხარჯზე ახერხებს კიდეც საშუალოდ 23 ქულისა და 14-15 მოხსნის დაგროვებას. დუაიტი განსაკუთრებული ინტელექტითა და მოედნის ხედვით არ არის დაჯილდოვებული, თუმცა რაც აქვს, ლიდერობისთვის ესეც სავსებით საკმარისია.

## მაჯა: რეი ალენი

ეს ვეტერანი ყველაზე სწრაფად ისვრის ბურთს და რაც მთავარია, ზუსტადაც. ალენი, რომელიც სავარაუდოდ, ჩაგდებულ სამიანებში ლეგენდარული **რეჯი მილერის** რეკორდსაც მოხსნის, დღესაც საკმაოდ სახიფათოა. "ბოსტონი" სწორედ მისი და **კევინ გარნეტის** იმპროვიზაციამ და ნიჭმა აქცია გრანდად.

## ხელები: ტიმ დანკანი

მოქმედი ჩემპიონის ლიდერს, **ტონი პარკერის** სახით ძალიან ძლიერი პარტნიორი ჰყავს, რომელიც არანაირად არ არის კლასიკური გამთამაშებელი და ხშირად, ტიმს ან ზედმეტად ძლიერად, ან პირიქით, მსუბუქად გაკეთებული პასების მერე უწევს შეტევის წამოწყება. დანკანს უზარმაზარი და ამავე დროს, რბილი ხელები აქვს. იგი ნებისმიერ პასს "ათვინიერებს".

## ფეხები: მანუ ჯინობილი

შესვლისას იდეალური მოთამაშე მყარად უნდა იდგეს ფეხებზე, ამ მხრივ კი დანკანის არგენტინელი თანაგუნდელი ლიგაში საუკეთესოა. **მანუს** წაქცევა (თუ თავად არ მოისურვა ამის გაკეთება) პრაქტიკულად, შეუძლებელია.

## ოპონენტის პროგნოზირება: მარკუს კემბი

**მარკუს კემბის** ნებისმიერი შემტევის კალათბურთელის მოძრაობის ამოცნობა შეუძლია და იგი სამწამიანის საუკეთესო და ყველაზე საიმედო დარაჯია. "ნაგეტსის" კარგი თამაში ყველაზე მეტად ამ ბრგე კაცის წინსამატჩო განწყობაზეა დამოკიდებული.

## ნერვები: ჩონსი ბილაპსი

ბოლო მეოთხედი **ჩონსი ბილაპსის** სტიქიაა. "დეტროიტის" ლიდერი და 2004 წლის სუპერფინალის უძვირფასესი მოთამაშე თავს ყველაზე კომფორტულად დაძაბულ სიტუაციაში გრძნობს. ჩონსი თანაგუნდელების უდიდესი ნდობითა და მათში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

**ზურაბ თალაკვაძე**

## 4 იანვარი

**სან ანტონიო-ნიუ იორკი 97:93**

27:24, 24:20, 25:27, 21:22

**სან ანტონიო:** ბ. ბოუენი (15 ქ. 2 ჩ), ბონერი (14 ქ. 6 მ. 3 ჩ), ფინლი (14 ქ), დანკანი (12 ქ. 9 მ. 5 პ. 2 დ), ტ. პარკერი (12 ქ. 4 პ. 3 ჩ).

**ნიუ იორკი:** კარი (25 ქ. 12 მ. 2 ჩ), ჯ. კროუფორდი (24 ქ. 6 პ. 5 მ), მარბერი (16 ქ), ნ. რობინსონი (14 ქ), ლი (6 ქ. 12 მ).

**ბოსტონი-მემფისი 100:96**

22:24, 25:21, 27:20, 26:31

**ბოსტონი:** გარნეტი (23 ქ. 5 მ. 5 პ), პირსი (23 ქ. 10 მ. 5 პ), ტ. ალენი (20 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ).

**მემფისი:** გეი (21 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), ნავარო (20 ქ), მ. მილერი (16 ქ. 8 მ. 3 პ), გასოლი (12 ქ. 8 მ. 5 პ. 3 დ), კონლი (10 ქ. 4 პ).

**ინდიანა-ატლანტა 113:91**

24:20, 30:23, 33:18, 26:30

**ინდიანა:** გრეინჯერი (32 ქ. 9 მ. 2 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (23 ქ. 12 მ. 3 პ), მ. დენიელსი (12 ქ. 4 პ. 3 ჩ), ჯ. ონილი (11 ქ. 4 დ. 3 პ).

**ატლანტა:** ჩილდრესი (26 ქ. 8 მ), ჯოშ სმიტი (20 ქ. 5 დ. 4 მ), მერვინ უილიამსი (13 ქ), ლო (11 ქ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია.**

**ორლანდო-ჰიუსტონი 94:96**

26:32, 23:19, 23:25, 20:22

**ორლანდო:** ნელსონი (20 ქ. 4 პ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 8 მ. 3 ჩ), რ. ლიუისი (16 ქ. 4 მ. 4 ჩ), თურქოღლუ (13 ქ. 11 მ. 5 პ. 2 ჩ).

